ბიბლიოთეკა



8 აპრილი გიორგი ბრწყინვალის დიდების დღეა!

მეფე გიორგი მე-5 ბაგრატიონი დიმიტრი თავდადებულის უმცროსი ვაჟი იყო. იგი დაიბადა 1286 წელს. აღიზარდა მესხეთში, პაპის — ბექა ჯაყელის სახლში. დედის ნანასთან ერთად მას ესმოდა დამონებული ხალხის კვნესა და ტირილი. მის მგრძნობიარე გულში ღრმად ჩაინერგა ქართველი ერის ტანჯვა და გაჭირვება. სამშობლოს მოყვარულმა და დიდად ნიჭიერმა ახალგაზრდამ მიიღო შესანიშნავი განათლება. ეკლიანმა გზამ და ქვეყნის უბედურებამ შესძინა სიფრთხილე და გამოცდილება. ამასთან ერთად, ამ იშვიათ ადამიანს ამკობდა ხასიათის სიმტკიცე, ძლიერი სული და სამხედრო ნიჭი. სწორედ ასეთი მეფე სჭირდებოდა მაშინ ბედშავ საქართველოს. ამ დროს საქართველოს ჰყავდა ძლიერი მტრები — თათრები და თავქასული თავადები. ესენი ხრავდნენ ერის გულს და ღუპავდნენ ქვეყანას.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა 1316 წელს ტახტზე ავიდა მეფე გიორგი, იგი დიდი სიფრთხილით შეუდგა საქმეს და თავისი მიზნების განხორციელებას. უწინარეს ყოვლისა, მან გაილაშქრა ოსებზე, სასტიკად დაამარცხა, წაართვა გორის ციხე და სხვა სიმაგრენი, იხსნა ქართლი იმათი ძარცვა-რბევისაგან. ამგვარივე საქმე დამართა სხვა მტრებსაც, ალაგმა ისინი და სამართალი გაუჩინა.

ამ ხანებში მოხდა თათრების ნოინთა შორის დიდი არეულობა. მათ მოჰკლეს ყაენი და დაინაწილეს მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფო. ამით ისარგებლა გიორგი ბრწყინვალემ, შეკრიბა ლაშქარი, შეებრძოლა საქართველოში მყოფ თათრებს, შემუსრა მათი ძალები და საქართველოდან განდევნა. მან საქართველო იხსნა მტარვალთა ბატონობისაგან, მისცა ხალხს კანონი და სამართალი, გააერთიანა დაგლეჯილი საქართველო, გააფართოვა მისი საზღვრები, აღადგინა მკვდრეთით ქართველი ერის ძველი დიდება და გააფაქიზა ხალხის დაცემული ზნეობა. ერთი სიტყვით, ქართველ ერს გაუთენა დიდი დავითისა და თამარის მზიანი დღეები. ქართველმა ერმა კვლავ დაანახა ქვეყანას, თუ რა ძალა აქვს მას, როცა ჰყავს კარგი მეთაური. ამიტომ, მადლიერმა საქართველომ ამ დიდებულ მეფეს გიორგი ბრწყინვალე უწოდა.

1346 წელს თბილისში გარდაიცვალა გიორგი ბრწყინვალე. იგი გელათში დაკრძალეს.

ისტორიის ქარტეხილებმა დღემდე ვერ შემოგვინახეს მეფე გიორგი მე-5 ბაგრატიონის დაბადების დღე, ამიტომ გიორგი ბრწყინვალეს ფონდის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით მისი სახელის დიდების აღსანიშნავად 8 აპრილი დაწესდა.

იმედია, ამ დღეს ყველა ქართველი პატივს მიაგებს ჩვენი ერის რჩეულ წინაპარს, ერთგულ გმირს გიორგი ბრწყინვალის, რომელიც თავის ერს, ვით ცეცხლის სვეტი [illegible] უდაბნოში, უკაფავდა გზას, იგერიებდა შემოსეულ მტერს და ათავისუფლებდა ქვეყანას დამღუპველი მონობისაგან.

ეთერ შენგელაია,
გიორგი ბრწყინვალის ფონდის მრჩეველთა საბჭოს მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 56 (858)

პარასკევი, 8 აპრილი, 1994 წელი

ფასი 3000 კუპონი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვალერიან ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს ვალერიან ვაშაკიძე საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ფრიდონ ინჯიას საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს ფრიდონ ინჯია საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ვლადიმერ კერესელიძის საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს ვლადიმერ კერესელიძე საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

გიორგი კვესიტაძის საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს გიორგი კვესიტაძე საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

თევდორე ნინიძის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს თევდორე ნინიძე საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ავთანდილ სილაგაძის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**
დამტკიცდეს ავთანდილ სილაგაძე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე
რუსუდან ბერიძე

თბილისი, 1994 წლის 7 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კონსტანტინე მიხეილის ძე თარგამაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ჭირისუფლებს.

შეიქმნა კ. მ. თარგამაძის დამკრძალავი კომისია საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

კ. მ. თარგამაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

9 აპრილი განსაკუთრებული თარიღია საქართველოს ისტორიაში

ხუთი წელი გვაშორებს ცხრა აპრილს — ამაღლებულსა და, ამავე დროს, სისხლიან თარიღს საქართველოს ისტორიაში, ქართული სულის აღზევებისა და ქართული ცნობიერების გასხივოსნების თარიღს, ზნეობრივი სიმაღლითა და ეროვნული მთლიანობით შიდა თუ გარე მტერზე სულიერი ამაღლების თარიღს.

ეს ხუთი წელი ძნელი და რთული იყო საქართველოს ისტორიაში, მან იცის გამარჯვებაც და დამარცხებაც. ამაღლებაც ქართული სულისა და დამდაბლებაც...

ვაი, რომ დამარცხება უფრო მეტი იყო, ხოლო დამდაბლება უფრო ღრმა და სამარცხვინო...

საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკული და ჰეროიკული ფურცლის დაწერაში სხვადასხვა, ერთმანეთის გამომრიცხავი, ამდენად ერთმანეთთან შეუთავსებელი ძალები მოქმედებდნენ, რამაც განაპირობა მთელი ტრაგიკულობა ცხრა აპრილისა.

ჰეროიკული იყო თავად პათოსი ამ დღისა, ერის ერთსულოვანი სწრაფვა მარადიული ეროვნული მიზნისკენ.

ისტორიამ სხვადასხვა როლი განუსაზღვრა ამ საბედისწერო დღის მონაწილეებს... ისტორია თავისას მიუზღავს ყოველ მათგანს — მსხვერპლსაც და ჯალათსაც, მაგრამ იმავე ისტორიას სამუდამოდ შემორჩება ამაღლებული და რეალური ლეგენდა იმ თავგანწირულობაზე, რის გარეშეც არაფერი ისტორიულად მნიშვნელოვანი არსად არ იქმნება.

აქ სრულად და მთელი თავისი სიწმინდითა და მშვენიერებით გამოვლინდა ქართული სული.

ამ სიმაღლეს მერე ჩვენ ვერ მივადევნეთ შესაბამისად ქართული სახელმწიფოებრივი გონი, სიდინჯე, შრომისმოყვარეობა, ურთიერთმიტევება, თანადგომა, მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევის ნიჭი, კანონთმოშიშობა და საკუთარი ქვენა სურვილების დათრგუნვის უნარი — რომელთა გარეშე არც ნორმალური სახელმწიფო ფუნქციონირებს და არც ნორმალური საზოგადოება.

ჩვენ ზოგჯერ არა ვგავართ იმ ხალხს, რომელიც ცხრა აპრილს ისე ამაღლებული იყო.

ჩვენგან იშვიათად ვინმე თუ მიუვა მათ ვალმოხდილი და პირნათელი, უპირველესად კი ალბათ ისინი, ვინც სამშობლოსთვის დაეცა და ვინც მოძალადეთა ხელითა თუ მათგან დევნილი მოწამებრივად აღესრულა.

ამ თვალსაზრისით ცხრა აპრილი ჩვენი ისტორიისა გრძელდება, გრძელდება ჩვენი გოლგოთა. გრძელდება ჩვენი განწმენდა ჩვენივე ცოდვებისაგან და თუ ცხრა აპრილს ჩვენმა სულიერმა ერთობამ და სულიერმა სიძლიერემ აგვამაღლა, დღესაც მხოლოდ ეს თუ გაგვამარჯვებინებს და კიდევ ის სიყვარული მოყვასისა, რომლის გარეშეც არც ერთ ღვთიურ საქმეს თავი არ დადგმია.

9 აპრილი განსაკუთრებული თარიღია ჩვენს ისტორიაში იმითაც, რომ მან თავისი კვალი დატოვა საქართველოს დამოუკიდებლობის კიდევ ერთხელ აღიარებით და დადასტურებით.

ცხრა აპრილი განუმეორებელი იყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ იგი არ იყო ერთადერთი, რადგან ასევე ჰეროიკული და ტრაგიკული იყო გაბრძოლება ქართული სულისა 1956 წლის 9 მარტს, 1924 წლის აგვისტოს, 1921 წლის თებერვალში... ასეთი წლები და ასეთი თვეები საქართველოს ისტორიის სიღრმეში ბევრია, სამწუხაროდ თუ საამაყოდ ბევრი, რადგან ერი, მართალია, სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ მაინც იბრძოდა, იბრძოდა და საბოლოოდ მაინც იმარჯვებდა.

ახლაც გავიმარჯვებთ.

გავიმარჯვებთ იმ წმინდა სულებისთვის და იმ წმინდა სულების მეოხებით, რომელნიც საქართველოს მარადიულ არსებობას და თავისუფლებას შეეწირნენ და კვლავაც შეეწირებიან, რადგან ქართველისათვის უდიდესი სიქველე და ნეტარება საქართველოსთვის თავდადება იყო, მისთვის ღვაწნება და მისი დაცვა.

ამ ჩვენს ბედნიერ ბედს ჩვენ ვერსად გავექცევით, რადგან ეს არის ჩვენი ზეცად ამაღლების ერთადერთი გზაცა და მიზანიც.

[illegible]
7.04.94 წელი

ედუარდ შევარდნაძეს გადაეცა რწმუნების სიგელი

8 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნების სიგელი გადასცა ბარონმა გოდერტ ვილემ დე ვოს ვან სტინვიკმა, რომელიც ამიერიდან იქნება ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

სიგელის გადაცემის შემდეგ გაიმართა საუბარი. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ელჩს გააცნო საქართველოში შექმნილი პოლიტიკურ-სოციალური ვითარება, აღნიშნა, რომ ახლა საქართველოს უმძიმესი პერიოდი უდგას, მაგრამ დიდია რწმენა, რომ მსოფლიოს ქვეყნების მხარდაჭერითა და თანადგომით, ჩვენი ხალხის დაუღალავი შრომით არსებული პრობლემები გადაიჭრება.

ქვეყანაში დაძლეულია სამოქალაქო ომის საშიშროება, გაძლიერდა ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ. ამ დღეებში მოსკოვში ხელი მოეწერა მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებას, ლტოლვილების დაბრუნებას შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი არაერთგვაროვნად აფასებს ამ დოკუმენტებს, იგი მაინც მნიშვნელოვანი ეტაპია კონფლიქტის მოსაგვარებლად,— აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ორ ქვეყანას შორის ურთიერთსასარგებლო კონტაქტების გაღრმავება და გაფართოება. ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ თქვენგან — განვითარებული ეკონომიკის კლასიკური ქვეყნისაგან. ახალგაზრდა ქართველმა ბიზნესმენებმა გარკვეული გამოცდილება შეიძლება მიიღონ ჰოლანდიელი კოლეგებისაგან, — თქვა სახელმწიფოს მეთაურმა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ელჩს ჰუმანური დახმარებისათვის, რომელიც ბატონმა სტინვიკმა საქართველოს ჩამოუტანა.

სურათზე: რწმუნების სიგელის გადაცემის დროს.
გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA
380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 · 4, SIONI STR. TBILISI-5. 380005. TEL. 99-69-30

მის აღმატებულებას, სახელმწიფოს მეთაურს,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს;
საქართველოს პარლამენტის სპიკერს,
ბატონ ვახტანგ გოგუაძეს;
საქართველოს პარლამენტის წევრებს.

ქრისტეს მიერი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გილოცავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულს.
მეტად დიდია თქვენი პასუხისმგებლობა ღვთისა და ჩვენი ერის წინაშე. ჩვენი ხალხი იმედის თვალით შემოგყურებთ თქვენ და სჯერა, რომ ღვთის მადლით თქვენ შესძლებთ დადებითად გადაწყვიტოთ ის რთული პრობლემები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე.
გისურვებთ სიმშვიდეს, სიხარულს და დიდ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.
ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და საქართველოს.

თქვენთვის მლოცველი
+ილია II,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

7/IV-1994.

მის აღმატებულებას, სახელმწიფოს მეთაურს,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ედუარდ-გიორგი შევარდნაძეს;

საქართველოს პარლამენტის სპიკერს,
ბატონ ვახტანგ გოგუაძეს;

საქართველოს პარლამენტის წევრებს

ქრისტეს მიერი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გილოცავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულს.

მეტად დიდია თქვენი პასუხისმგებლობა ღვთისა და ჩვენი ერის წინაშე. ჩვენი ხალხი იმედის თვალით შემოგყურებთ თქვენ და სჯერა, რომ ღვთის მადლით თქვენ შესძლებთ დადებითად გადაწყვიტოთ ის რთული პრობლემები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გისურვებთ სიმშვიდეს, სიხარულს და დიდ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღვთისმშობელმა დედამ გადაგაფაროთ თავისი კალთა თქვენ და საქართველოს.

თქვენთვის მლოცველი **ილია II,**
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.
7-IV 1994.

საქართველოს პარლამენტში

კეთილმოსურნეობის განწყობით

სახარების მიხედვით გაბრიელ მთავარანგელოზმა 7 აპრილს მარიამ ღვთისმშობელს ახარა სასწაული, რომ მისგან იშვებოდა იესო ქრისტე. ჩვენმა პარლამენტმა კი თავისი არაორდინალური დასაწყისით, რომელსაც დეპუტატ ზურაბ მურვანიძეს უნდა უმადლოდეს, კვლავ შეძლო ჩვენი გაოცება; ბატონი ზურაბი ამჯერად სხვა ამპლუაში — კომპოზიტორად (?!) წარუდგა პარლამენტს. არ ვიცი, მუსიკის რომელ ჟანრს განეკუთვნება ის ნაწარმოები, რომელიც დეპუტატებმა ანთებული სანთლების ფონზე ფეხზე დგომით მოისმინეს, მაგრამ დარბაზში მდგარ პროვინციალიზმის სურნელს სანთლები აშკარად არ უხდებოდა...

ხარება დღის მადლი იყო თუ მურვანიძის მუსიკის კეთილისმყოფელი გავლენა, სხდომა ძალზე ნაყოფიერი, მშვიდი და ერთსულოვანი აღმოჩნდა. თანამიმდევრულად დაამტკიცეს კავშირგაბმულობის მინისტრად — ფრიდონ ინჯია, მრეწველობის მინისტრად — ვლადიმერ კერესელიძე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრად — გიორგი კვესიტაძე, ქონების მართვის მინისტრად — ავთანდილ სილაგაძე, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ — ვალერიან ვაშაკიძე, იუსტიციის მინისტრად — თევდორე ნინიძე, ვიცე-პრემიერად — ზურაბ კერვალიშვილი, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად — ვაჟა გუჯაბიძე.

ასე რომ, მინისტრთა კაბინეტის არჩევისწინა დაძაბული სიტუაცია განიმუხტა, ეიფორია ჩაცხრა და მავანთა და მავანთა მოსეირე განწყობა გაცრუვდა. ღმერთმა ქნას, კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ეპისტოლემ, ხარება დღის მადლმა და ბატონ ზურაბ მურვანიძის ორატორიამ ჩვენს პარლამენტში სიმშვიდე და გონიერება დაამკვიდროს.

პარლამენტი დღეს განაგრძობს მუშაობას.

ფერიდე ბიწაძე.

ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით!

საქართველოს უშიშროების სამსახურის მიმართვა მოსახლეობისადმი

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გაფართოებული სხდომა, რომელზეც მიიღეს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი.

უშიშროების სამსახური დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვასა და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფას ემსახურება. საქართველოში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უშიშროების სამსახური, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, კანონიერებისა და დემოკრატიის დამცველად გვევლინება, რასაც ის არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ადასტურებს.

დღევანდელი სპეცსამსახური საკადრო შემადგენლობისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას მოითხოვს. ამ მხრივ მას ხელისუფლების დიდი თანადგომა სჭირდება. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების მხრიდან მორალური მხარდაჭერაც. ეს მოთხოვნა, არამც და არამც არ უნდა გავიგოთ ადრინდელი იდეოლოგიური შინაარსით. პირიქით, მიგვაჩნია, რომ ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფაში მონაწილეობა დღეს თითოეული მოქალაქის უფლება-მოვალეობაა, ვინაიდან, ცივილიზებულ ქვეყანაში მოსახლეობის უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობა სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარების დამადასტურებელია. გარდა ამისა, სპეცსამსახურის ფართო კონტაქტები საზოგადოებასთან ჯანსაღი კონტროლის საშუალებასაც იძლევა.

საქართველო უკიდურეს განსაცდელშია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შელყოფილია. საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს მშენებლობის საფუძვლებს, მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და კრიმინოგენური სიტუაცია საღად მოაზროვნეთა კონსოლიდაციას მოითხოვს. ერთობის გარეშე შეუძლებელია კრიზისის დაძლევა. კიდევ ერთხელ უნდა გავითავისოთ, რომ უშიშროების სამსახური საზოგადოებისაგან, ხალხისაგან მოწყვეტილად ვერ იარსებებს, ჯეროვნად ვერ განახორციელებს ქვეყნის წინაშე მდგომ ამოცანებს. დადგა დრო, ერთიანი ძალებით, რეალურად შევუდგეთ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს. ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა აქტიურად ამოუდგება მხარში სახელმწიფო უშიშროების სამსახურს, რომელსაც უნარი შესწევს იყოს საზოგადოების კონსოლიდაციის ავანგარდში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური.

მერვე სვეტი

სეპარატისტთა მორიგი მუხანათობა

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიდან გვაცნობეს, რომ აფხაზეთში პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით ქ. მოსკოვში 4 აპრილს დადებული ოთხმხრივი შეთანხმების მიუხედავად 6-7 აპრილს აფხაზმა სეპარატისტებმა და დაქირავებულმა ბანდებმა განაახლეს საბრძოლო მოქმედება კოდორის ხეობაში. სოფელ ლათის პოზიციებიდან ინტენსიური საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს სოფელ ქვაბჩარას. ქართული მხარე, ასრულებს რა შეთანხმების მოთხოვნებს, მიუხედავად მისი კომპრომისული ხასიათისა, არ ჰყვება პროვოკაციას, იცავს ცეცხლის შეწყვეტის პრინციპს და ჯერჯერობით თავს იკავებს საპასუხო ქმედებისგან.

მოსალოდნელი კატასტროფა აცილებულია

როგორც ვიუწყებოდით, დაიტბორა ენგურჰესის კასკადის საბერიოს ძირითადი მიწისქვეშა სადგური. აქ წყლის დონემ 22 მეტრს მიაღწია.

მოულოდნელად მოვარდნილმა ნიაღვარმა ყველა ელექტროტექნიკური მოწყობილობა დატბორა. წყალი თითქმის გენერატორებამდე აღწევდა და მოსალოდნელი იყო, ენგურჰესი მთლიანად შეწყვეტდა მოქმედებას, რომელიც ყოველწლიურად, ასეა თუ ისე, 4 მილიარდ კილოვატ ელექტროენერგიას მაინც აწვდის რესპუბლიკას. ავარიის სალიკვიდაციო ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელობა დაევალა ზუგდიდის ელექტროენერგეტიკის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, ზუგდიდის რაიონის გამგებლის მოადგილეს იური გუგუჩიას.

მიწისქვეშა სადგურში უკვე გაიგზავნა აუცილებელი ელექტრომოწყობილობა, პერსონალისთვის — კვების პროდუქტები და მედიკამენტები.

საბერიოს მიწისქვეშა ელექტროსადგურის კოლექტივის მუშაკები (დირექტორი — გიორგი მიქავა), დღედაღამ შრომობენ აფხაზი სეპარატისტების მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ყველაფერს აკეთებენ ენგურჰესის კასკადის მთავარი ჰიდროელექტროსადგურის მწყობრში ჩასაყენებლად.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

სააგენტო „იბერია“ გვატყობინებს:

თბილისი. ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახალხო ნიხასის თავმჯდომარემ ლუდვიგ ჩიბიროვმა განაცხადა, რომ ქართულ-ოსური მოლაპარაკება უნდა გაიმართოს იმავე ფორმატში, როგორც მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება ჟენევაში.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ოთხმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მოსკოვში იქნა მიღებული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც აფხაზეთის პოლიტიკური ერთეულის ცნობა. ეს უფრო ამ ეტაპზე საქართველოს კონფედერაციულ მოწყობას ნიშნავს. ხოლო რაც შეეხება მის შესრულებას, ყველაფერი ქაღალდზე დარჩება, თუ არ იქნება ჩვენგან ქმედითი ღონისძიებები.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 4 (39)

GEORGIA DEFENCE FUND

ქვეყანა მთლიანად უნდა შემობრუნდეს ღირსეული არმიის მშენებლობისკენ!

კომისარიატები ურთულესი ამოცანების წინაშე

30 მარტს თავდაცვის სამინისტროში შეიკრიბნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისარიატების ხელმძღვანელი მუშაკები. საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ, გენერალ-მაიორმა გურამ ნიკოლაიშვილმა ისაუბრა ქართული ჯარის პრობლემებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც კომისარიატების წინაშე დგას ეროვნული არმიის შექმნის ამ ეტაპზე. შეკრებაზე განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა ის ცვლილებები, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებშია მოსალოდნელი და, რა თქმა უნდა, კომისარიატებშიც. კიდევ ერთხელ უნდა გადაისინჯოს სამხედრო მოსამსახურეთა მოვალეობანი. აღინიშნა, რომ ეროვნული არმია განიცდის სამხედრო სპეციალისტების ნაკლებობას. კომისარიატებს კი ამ მხრივ ჰყავთ საკმაო რეზერვი, გამოუყენებელი კადრები, ახალგაზრდები, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ სამხედრო ნაწილების პირად შემადგენლობასთან.

დასასრულ შეკრებაზე დასახეს კომისარიატების მუშაობის სამომავლო ამოცანები.

ოცნებამ ფრთა რომ შეისხას

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 1993 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა 72 პროცენტით შესრულდა. გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩევიან ზესტაფონის, გორის, მარნეულის, გლდანის, ისნისა და დიდუბის რაიონები. რიგ რაიონებში, რომლებმაც ვერ შეასრულეს გაწვევის გეგმა, კადრები გადახალისდა და თუ რაიონული კომისარიატების წარმომადგენელთა სიტყვებს მოვიშველიებთ, „უკვე ყველაფერს დაეტყო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისრის, პოლკოვნიკ ტარიელ აბუაშვილის ხელი"

— თებერვლის გაწვევის გეგმა 110 პროცენტით შევასრულეთ. ეს ჩვენი თავაუღებელი, მძიმე მუშაობის შედეგია. ყინული დაიძრა. თუმცა, არც ძველ კომისრებს გაემტყუნებათ. უძრაობას ვიყავით მიჩვეული, — ამბობს თბილისის ჩუღურეთის რაიონის სამხედრო კომისარი, მაიორი თენგიზ წიკლაური და მადლიერებით იხსენიებს ჩუღურეთის რაიონის გამგებელს ანზორ პირველსა და რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსს არჩილ არველაძეს.

მეტად მძიმეა დღევანდელ პირობებში სამხედრო კომისრის ტვირთი, რადგან „კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" ფაქტობრივად უმოქმედოა, სამხედრო პროკურატურა არავითარ ღონისძიებებს არ ახორციელებს, მხოლოდ კომისრების ენთუზიაზმი კი მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. წვევამდელებს მოხსნილი აქვთ ყოველგვარი პასუხისმგებლობა სამშობლოსა და კანონის წინაშე. მათი გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრების გამო, თავს არიდებს გაწვევას, მხოლოდ 18 წლის ბიჭების დამორჩილება ხერხდება.

კომისარიატების საქმიანობაში ყველაზე მთავარია მიწერის ხარისხიანი ჩატარება და საოქმო ჟურნალის სრულყოფა, რასაც ხელს უშლის კერძო სექტორების არსებობა. მობინადრეს საბინაო წიგნაკი ხელზე აქვს, ხოლო ის პირები, რომლებიც სახლმმართველობაში არიან აღრიცხული, მშობლების ხელშეწყობით იმალებიან. დიდი აღმზრდელობითი მუშაობის შესრულება უწევთ კომისარიატების წარმომადგენლებს, რათა როგორღაც „ხელში ჩაგდებული" წვევამდელი გაწვევაზე დაითანხმონ. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის გაწვევის განსაზღვრულ ვადებში დამთავრებას და გეგმის შესრულებას. მართალია, სამხედრო ნაწილებში არ არის ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, უჭირთ ბიჭებს, მაგრამ დღეს ხომ ყველას გვიჭირს...

უახლოეს მომავალში, სამხედრო კომისარიატების უშუალო მონაწილეობით გაიცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის პასპორტები, ისინი, ვისაც სამხედრო სავალდებულო სამსახური არ გაუვლია, პასპორტებს ვერ მიიღებენ. ამიტომ წვევამდელებმა, თუ სურთ თავისუფალი და ძლიერი ქვეყნის მოქალაქეობა, მეტი პასუხისმგებლობა, წინდახედულობა და ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინონ.

ლუიზა ლაწუნაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის პრესსამსახური.

მივხედოთ ძმათა სასაფლაოებს!

თბილისის კუკიას ძმათა სასაფლაოს კომპლექსი ერთ-ერთი უწმინდესი ადგილია, სადაც სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო ნადგურდება მემორიალი, იშლება წარწერები. ბაზალტის ქვები აყრილია, წყალსადენი და სამარადისო ცეცხლი მწყობრიდანაა გამოსული, ღობე მოშლილია, ნამარხებზე იმარხება ახალი მიცვალებულები. ერთი სიტყვით, საშინელი უწესრიგობაა, რაც მზრუნველ ხელსა და გულისხმიერ გულშემატკივარს მოითხოვს. კარგი იქნება, თუ ვეტერანთა საბჭო და თავდაცვის სამინისტრო შექმნის ერთობლივ ჯგუფს, რომელიც ადგილზე შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და ვიდრე ყველაფერი არ განადგურებულა, დასახავს მისი გაუმჯობესების გზებს.

იუზა კატუკია,
„საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი

პრობლემა

„საქართველო მარტო ჩემი სამშობლოა?"

კანონი სახელმწიფოს ნების გამომხატველია და თავისი შინაარსით მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამება. საყოველთაო აზრით ეს არის უპირველესი პრინციპი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ნებისმიერი სახელმწიფო.

რაკი ჩვენი რესპუბლიკის პარლამენტართა ერთი ნაწილი გაკვირვებული კითხულობს „სად არის სახელმწიფო?" სრულიად გასაგებია კანონების მიღებისას საკანონმდებლო „ხელის უფალთა" „თავის უფლების" მოტივები...

თუნდაც ავიღოთ კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ, ვითომ ეს კანონი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს შეესაბამება?

ამ კანონის თანახმად „მშვიდობიან დროს სავალდებულო სამსახურში გაწვევა სწავლის გამო გადაუვადდებათ უმაღლესი სასწავლებლების დასწრებული სწავლების სტუდენტებს, რომლებიც გადიან სამხედრო სწავლებას შესაბამის სამხედრო კათედრებზე — სასწავლებლის დამთავრებამდე, აგრეთვე საშუალო სასწავლებლების მოსწავლეებს საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრებამდე, ოღონდ არა უმეტეს 20 წლის ასაკისა".

თუ ჩვენი ბედკრული ქვეყანა სახელმწიფოდ მართლაც არ მიგვაჩნია, რატომ არის გამიჯნული სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები?, თუ სახელმწიფოდ მიგვაჩნია კანონი კი სახელმწიფოს ნებას უნდა გამოხატავდეს), ნუთუ ეს არის სახელმწიფოს ნება? — სწავლის დასრულების უფლება მხოლოდ იმას მისცეს, ვინც მოახერხა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში დღის დასწრებულზე „მოწყობა", ხოლო ვინც ოჯახსაც მხარში უდგას და სწავლასაც ვერ შელევია, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს?

ახლა კანონის პირველ მუხლთან „ჩავიმუხლოთ" და თაყვანი ვცეთ „საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს", რომელიც „ვალდებულია გაიაროს საყოველთაო სამხედრო სამსახური".

ვინ არის იგი? — უპატრონო და უფულო! აბა, პატრონიანი და ფულიანი ან სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზეა მოკალათებული, ან ისეთი სამედიცინო ცნობა აქვს

„გასტეხს ქვასაც მაგარსა". ჯარში გაგზავნე და კაცი დადგება! — თავაწყვეტილი ან განებივრებული ახალგაზრდების მშობლებს ერთ დროს ასე ურჩევდნენ ხოლმე ახლობლები, ახლა?, რჩევა-დარიგების ადრესატიც გამრავლდა და „კაცად დადგომის" ობიექტიც შეიცვალა. დიახ, შანსიანმა მშობლებმა ბევრი ახალგაზრდა უცხო ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის მერხს მიაჯაჭვეს და ისინიც მშვიდად ოცნებობენ მამულის ტერიტორიულ მთლიანობაზე, თავისუფალ, აყვავებულ სამშობლოზე...

ვინ უნდა შეასხას ფრთები მათ ოცნებას? აქ დარჩენილმა პაპაბებიებმა, თუ სოციალური პრობლემების მორევში ჩაძირულმა მათმა თანატოლებმა? ყოველ წუთს ომის საფრთხე გვემუქრება, ქუდზე კაცი რომ დაგვჭირდეს, საქართველოში დარჩა კი იმდენი კაცი, რამდენი „ქუდიც გვერიცხება?".

„არ დაგვცალდა, გაგვიჭირდა ეროვნული ჯარის შექმნა. შიშმა, უნდობლობამ, გულგატეხილობამ ახალგაზრდებში ჩაფერფლა ჯარში წასვლის სურვილი, მტერთან ბრძოლის ჟინი. ყველაფერში სხვებს ვბაძავთ და მეომართა დაქირავება რა გაგვიხდა? ერთმა მუჭა აფხაზებმა ჰკუთ როგორ უნდა გვაჯობონ. არ შეიძლება ჩვენც დავიქირავოთ ცოცხალი ძალა და ამით გადავარჩინოთ ჩვენი გამოუცდელი ახალგაზრდობა, თუ ისინი მტერს ამოვაჟლეტინეთ, ვისთვის გვინდა ეს დალოცვილი მიწა?" — გვეკითხება შ. ვაშაკიძე.

აი, რას გვწერს თბილისელი დ. ჯავახაძე:

„ბავშვობიდანვე წიგნები მიყვარდა, სპორტისა და მუსიკის სამყაროში გავიზარდე. ჩემი მშობლები ხელფასზე მცხოვრები ინტელიგენტები არიან. დაუსწრებელზე ვსწავლობ, თან ვმუშაობ. მალე ჯარში გამიწვევენ, სხვებივით საზღვარგარეთ ვერ გავიქცევი, საშუალება არა მაქვს. მაგრამ ჯარში წასვლაც არ მინდა. გული მეთანაღრება, რა მინდა ნარკომანებისა და ყაჩაღების გვერდით, იმათგან რა უნდა ვისწავლო? რომ არ წავიდე — დამსჯიან, დეზერტირად გამომაცხადებენ. ამ უმძიმეს ჟამს (ზემდგომი ორგანოების დახმარებით) საზღვარგარეთ წასვლა დეზერტირობად რატომ არ ითვლება? ვისაც პატრონი ჰყავს, ვისაც დოლარები აქვს, მარტო იმას აქვს საზღვარგარეთ სწავლის სურვილი და ჩემისთანებს არა? საქართველო მარტო ჩემი სამშობლოა, მე და ჩემისთანებს რომ დაგვიტოვეს საპატრონებლად? რატომ, რომელი კანონი გვსჯის პატიოსანი ოჯახის შვილებს?".

— „ჩემს ორ ვაჟს ბავშვობიდანვე ვუნერგავდი სამშობლოს სიყვარულს, ჯარში ყოფნის სიკეთეს, — გვიამბობს გ. გაბეხაძე, — დღეს-ხვალ ისინი იმ ასაკს მიაღწევენ ამ „სიკეთით" სარგებლობა რომ ევალებათ, მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა და მეც სხვაგვარად ვირჯები, ალბათ, გამიჭირდება ამ უწესრიგო ჯარში შვილების გაშვება. თითქოს იყო ლაპარაკი გასაწვევ პირთა ასაკის გაზრდაზე, მაგრამ პირიქით მოხდა. ცეცხლის ხაზზე სწორედ ეს გამოუცდელი, პირტიტველა ბიჭები გარეკეს, პირველად სწორედ ისინი ემსხვერპლნენ მამულის მთლიანობას, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელი თანამდებობის პირის შვილები იბრძოდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში? თუ ყველა ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო მიშველაძისა და სხვათა მსგავსად მამულის სამსხვერპლოზე მიიტანს შვილის სიცოცხლეს, ჩემ ორ ვაჟთან ერთად მეც მათ გვერდით უყოყმანოდ დავდგები. სამწუხაროდ, მრავლად არიან ვაიპატრიოტები, მამულს სხვისი შვილების სიცოცხლის ფასად რომ „იცავენ".

მამის პროტესტს მრავალშვილიანი დედის ქ. ნაცვლიშვილის მოსაზრება ცვლის:

„ჩემი აზრით, ეროვნულ ჯარში გაწვევა ნებაყოფლობით უნდა იყოს. ბევრი მოიძებნება ისეთი, ვისაც იარაღის ჟღარუნი სიამოვნებას ანიჭებს. იქ რკინის მარწუხებში უნდა აღიზარდონ ისინი... ასეთი ახალგაზრდების შეუპოვრობა და სისასტიკე სწორი გზით უნდა განვითარდეს. რაც შეეხება მტერთან ბრძოლას, ცოდნასთან ერთად მას ნიჭიც სჭირდება. წიგნებთან გაზრდილი ახალგაზრდა დღეს ისეთი ჯარისკაცი ვერ დადგება პროფესიონალ მკვლელს რომ გაუსწორდეს. სხვაზე ნაკლები პატრიოტი როდი ვარ, მაგრამ რა ვქნა... თუ ზოგიერთი დამშეულ საკუთარ სამშობლოში საცხოვრებლად ვერ იმეტებს შვილს, მე სასიკვდილოდ როგორ გავიმეტო?"

ვისა აქვს მათი გაკიცხვის, მამულის დასაცავად მოწოდების უფლება? დიდი ილია ამბობდა: „სიმართლის სიტყვას ძალა მაშინ აქვს, როცა მას მართალი, სპეტაკი ადამიანი ლაპარაკობს"...

ერთ თვეში სამხედრო სავალდებულო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა დაიწყება. სტატისტიკოსებმა, ალბათ, უკეთ იციან საქართველოს რესპუბლიკის (18-დან 25-წლამდე ასაკის) რამდენი მოქალაქე სწავლობს, მუშაობს და „ხანგრძლივი" მივლინებით იმყოფება საზღვრებს მიღმა.

სამწუხაროდ, კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" თავის არსებობას ვერც ახლა გაამართლებს, რადგან იგი საყოველთაო არ იქნება. სამხედრო კომისარიატები მხოლოდ უმწეოებს სთხოვენ „შემწეობას", რომ გეგმა როგორმე შეასრულონ. გეგმა თუ ვერ შესრულდა? ისინი უფრო აბობოქრდებიან, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს ბრალდებებს ისინი წაუყენებენ, ვისაც ეროვნული ჯარის შექმნა ხელს არ აძლევს, ვინც გუშინ ცხრა მთას იქით საიმედოდ დააბინავა ხვალინდელი მეომარი...

ლეილა კოშკაძე.

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

ძმები ვაშაკიძეები

...„**ანაბებით** არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალ-წარბ-თმოსანი, თეთრყირმიზნი, მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთა მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი".

...ჩვენი სახელოვანი წინაპარი ვახუშტი ბაგრატიონი ქართველი ერის დახასიათებისას თითქოს ძმები ვაშაკიძეების მსგავსთ შეჰყურებდაო... მისი სიტყვები იმდენად სრულყოფილია, რაიმეს დამატება დიდი კადნიერება იქნებოდა.

სამხედრო-პატრიოტულ ორგანიზაცია „მხედრიონში" ხშირად ხუმრობენ, რომ აქ ვაშაკიძეების გვარის იმდენი წარმომადგენელია, ერთი დამოუკიდებელი, საჯარისო ფორმირების ჩამოყალიბება შეიძლებაო. მხედრიონში, მართლაც ბევრნი ირიცხებიან ამ გვარისანი, მაგრამ დღეს ყველასაგან გამორჩეულ ძმებზე — ვაშაკიძეებზე გვინდა მოგითხროთ.

აკაკი, გია, დავითი და რეზო ვაშაკიძეები სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიში გაიზარდნენ. აქ გაიარა მათმა ბავშვობამ. მშობლები რიგითი მშრომელები, პატიოსანი ადამიანები იყვნენ და არაფერია საკვირველი, რომ შვილებიც ადრეული ასაკიდან შეაჩვიეს დაუღალავ, მუყაით გარჯას. რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისიდანვე, ისინი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, სამშობლოს მებრძოლთა რიგებში რომ ჩადგნენ...

თავდადებული ბიჭები შეუნიშნავი არ დარჩენია „მხედრიონის" შემქმნელსა და ხელმძღვანელს ჯაბა იოსელიანს. რამდენიმე ხანში ძმები ვაშაკიძეები დაწინაურდნენ და სათავეში ჩაუდგნენ მხედრიონის ცალკეულ შენაერთებს. მაინც რამ განაპირობა მათი წარმატება?

ძმები ვაშაკიძეები რაინდული სულის, სინდის-ნამუსიანი ვაჟკაცები არიან. ბავშვივით მიმნდობებმა და გულკეთილებმა არ იციან რა არის სიხარბე და გაუტანლობა. პატრიოტული გრძნობით აღვსილნი, ბრძოლის დროს შეუპოვარნი და სამაგალითონი არიან, არ უყვართ მატყუარა ადამიანი. თაღლითობითა და გაიძვერობით მოპოვებული სახელი მათში მხოლოდ ზიზღს იწვევს. მამაცები, უშიშრები, სამშობლოსათვის თავდადებული და ულალატონი ხელქვეითებისაგანაც იგივეს მოითხოვენ.

ძმებმა ვაშაკიძეებმა სამხედრო საქმესაც შეძლებისდაგვარად აუღეს ალღო. რა თქმა უნდა, აკლია ამ ცოდნას აკადემიზმი, მაგრამ ძმები ისეთი ინტუიციით არიან დაჯილდოებული, რომ სწრაფად ერკვევიან რთულ სიტუაციებში და ყველაზე უფრო ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ნამდვილად ძნელი იყო აფხაზეთში, სხვადასხვა ომსა და ბრძოლაში გამობრძმედილი დაქირავებული გენერლებისა და ოფიცრების წინააღმდეგ ჭიდილი, მაგრამ როცა უშიშარი, კაცური კაცი გხელმძღვანელობს და მის მხარდაჭერას გრძნობ, მეომარს ყველა ჭირის გადატანა გიადვილდება.

ამჟამად აკაკი ვაშაკიძე შინაგანი ჯარების ერთ-ერთი ხელმძღვანელია, გია ვაშაკიძე გენერალია და რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, დავითი — იმერეთის ზონის სამაშველო სამსახურს თავკაცობს, სულ უმცროსი — რეზო კი, ამჟამად მშობლიურ სოფელში საქმიანობს.

ჩვენს საზოგადოებაში ბევრი აუგი გვესმის „მხედრიონის" შესახებ, მაგრამ გარწმუნებთ, როგორც კი პირადად გაეცნობით ძმებ ვაშაკიძეებს, მხედრიონელებზე აზრი უთუოდ შეგეცვლებათ და მტკიცედ ირწმუნებთ, რომ ეს არის ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული სამხედრო-პატრიოტული ორგანიზაცია, რომელმაც დიდი სისხლი გაიღო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაშველთა კორპუსი მომავალშიც არაფერს დაიშურებს ჩვენი ბედკრული სამშობლოს განახლება-გაძლიერებისათვის.

ჯემალ ნოზაძე,
მაშველთა კორპუსის მემატიანე.

სახელოვანი მხედრული ტრადიციები

ქართული ჯარის ისტორიისათვის

საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი იმ განუწყვეტელი შემოსევებისა, რომელსაც დიდი სახელმწიფოები ჩვენი ქვეყნის დაპყრობის მიზნით ახორციელებდნენ. საუკუნეების მანძილზე ქართველობა ეწეოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ათასი ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ. მუდმივმა საბრძოლო მზადყოფნამ ხელი შეუწყო ჩვენ ხალხში ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მხედრული თვისებების ჩამოყალიბება-განმტკიცებას. ომთან „გაშინაურებული", „ხმალთან „შეზრდილი" ქართველი მეომარი მსოფლიოში საუკეთესო მებრძოლის რეპუტაციით სარგებლობდა. ქართველთა მხედრულ შემართებაზე საგანგებოდ მიუთითებდა პეტრიწონის მონასტრის ფუძემდებელი, ბიზანტიის იმპერიის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე „დასავლეთის დიდი დომესტიკოსი" ანუ იმპერიის დასავლეთის (ე. ი. ევროპული ნაწილის) სამხედრო ოლქის სარდალი, ჩვენი თანამემამულე გრიგოლ ბაკურიანის ძე. გავიხსენოთ მისი სიტყვები: „...ვინაითგან ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი"... სწორედ ქართველთა მხედრული შემართება გახლდათ ერთ-ერთი იმ ფენომენთაგანი, რომელმაც გადაარჩინა ერი ალგვისაგან „პირისაგან მიწისა".

ქართული ლაშქრის ბრძოლისუნარიანობას, აგრეთვე ქართველ სარდალთა მაღალ პროფესიულ დონესა და ვაჟკაცობას ხაზგასმით აღნიშნავდნენ რუსი სახელმწიფო მოღვაწეებიც. ამ მხრივ საინტერესოა 1715-1718 წლებში ირანში მყოფი რუსეთის ელჩის არტემ ვოლინსკის აზრი ქართველთა სამხედრო ძალის საბრძოლო თვისებების შესახებ. იგი წერდა: „მთელ ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია. ქართველები ნამდვილი მეომრები არიან... ირანში, როგორც წესი, სპასალარებად ქართველი ბატონიშვილები ინიშნებიან. ასევე მეტწილად ქართველებს ნიშნავენ ირანის ჯარში სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე. ადრე, ჯერ კიდევ დიდი შაჰაბასის დროს და აგრეთვე ახლანდელი შაჰის სხვა წინაპრების დროსაც, ირანელებს თურქებთან, ავღანელებთან, ინდოელებთან და სხვა ხალხებთან ომებში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული... თუ ქართველი ბატონიშვილები და მათი დიდებულები და აზნაურები ერთმანეთში შეთანხმებას მიაღწევენ, ჭეშმარიტად შეძლებენ არა მარტო სპარსეთის უღლისაგან განთავისუფლებას, არამედ თვით სპარსეთის ტერიტორიის დაკავებასაც.

ირანელების კავალერია ქართველებს ვერასოდეს გაუმკლავდება, სამჯერაც რომ სჭარბობდეს რიცხობრივად, ხოლო თუ ჩვენ ქართველთა ჯარს 20 რეგულარულ ესკადრონს მივუმატებთ, ქართველებთან ერთად მთელს სპარსეთსაც ადვილად დავლაშქრავთ".

როგორც ვხედავთ, რუსი ელჩი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს ქართული ჯარის საბრძოლო თვისებებს, თუმცა, ამავე დროს, მიუთითებს დიდ უარყოფით მხარეზეც — ქართველთა შეუთანხმებლობაზე, რასაც, როგორც ცნობილია, მძიმე შედეგები მოჰქონდა ქვეყნისათვის.

ქართველთა მამაცობაზე, ერეკლე მეფის მხედართმთავრულ ნიჭსა და მის პირად გმირობაზე საგანგებოდ მიუთითებდა ვოლტერი ეკატერინე მეორესთან მიმოწერაში. გერმანელი მწერალი ლესინგი ერეკლეს „აღმოსავლეთის დიდ გმირს" უწოდებდა. ევროპაში სახელგანთქმულ სარდალს პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორეს მიაკუთვნებენ ერეკლე მეფის შესახებ შემდეგ სიტყვებს: „ევროპაში მე ვარ და აზიაში საქართველოს მეფეო".

ქართველი მეომრების რეიტინგი საკმაოდ მაღალი გახლდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ოფიცრობა რუსეთის არმიის ელიტას წარმოადგენდა. რუსეთის არმიის უმაღლეს მთავარსარდალს პირველი მსოფლიო ომის დროს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გაუცხადებია: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ხუთი ქართველიც რომ ერიოს, ვიცი, როგორ იომებდა ჩემი არმია". ქართული სამხედრო ფორმირებათა შექმნის შესახებ საყურადღებო მასალები ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაშიც, ეროვნულ შეიარაღებულ ფორმირებათა შექმნის საკითხის გაშუქებას ცენზურის ტაბუ ჰქონდა დადებული. გაზეთ „ერის" 1910 წლის მეოთხე და მეცხრე ნომრებში დაიბეჭდა ნაფიცი ვექილის გვაზავას სტატია სათაურით — „ჩეხია". როგორც საარქივო საბუთიდან ჩანს, ამ „ბუნტარულ" სტატიაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჩეხებმა შექმნეს ეროვნული სამხედრო ძალა „სოკოლი" („შევარდენი"). იგი მოუწოდებს ქართველებსაც შექმნან ასეთივე სამხედრო ორგანიზაცია. ამ სტატიის დაბეჭდვის გამო გაზეთ „ერის" რედაქტორს პეტრე როსტომის ძე სურგულაძეს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს (ცსსა, ფონ. 114, აღწ. 4, საქ. 658, ფურც. 80-81).

ქართული საჯარისო ფორმირებების შექმნის იდეა პოპულარული იყო პირველი მსოფლიო ომის დროსაც. ქართველი ფედერალისტები ვარაუდობდნენ აქტიური სააგიტაციო მუშაობის გაშლას ქართველ ტყვეთა შორის მათი რუსეთის წინააღმდეგ გამოყენების მიზნით. „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა" სპეციალური მოწოდებაც კი შეადგინა, რომლითაც ქართველ სამხედრო ტყვეებს მოუწოდებდნენ ქართულ რაზმებში გაერთიანებულიყვნენ და გერმანიის ჯარებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ომში მიეღოთ მონაწილეობა. ამ მოწოდებას, რომლის სათაურია „ქართველებო", მივაკვლიეთ ცენტრალურ საისტორიო არქივში. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, იგი ქართულიდან უთარგმნიათ რუსულად კავკასიის სამართალდამცავ ორგანოებში.

„მოწოდება" გაუვრცელებიათ ავსტრია-უნგრეთში, რუსეთის არმიის ტყვეებში, რომელთა შორისაც ბევრი ქართველი იყო. ამ „მოწოდებიდან" ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო გარემოებამაც, სახელდობრ, მასში მკაფიოდ არის აღნიშნული, რომ რუსეთის დამარცხებამ ამ ომში უნდა მისცეს თავისუფლება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უკრაინას, პოლონეთს, ფინეთს და სხვა ხალხებს.

„მოწოდებაში" ვკითხულობთ: „...გერმანია გვაძლევს იარაღს და ყველაფერს აუცილებელს ომისათვის და ჩვენ თურქეთის ჯარებთან ერთად, რომლებიც ამჟამად ებრძვიან რუსეთს საქართველოს საზღვრებთან და აპირებენ საქართველოში შემოსვლას, როგორც მეგობრები და არა მტრები, უნდა მამაცურად ვიბრძოლოთ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის... ქართველებო, იმის მაგიერ, ხელში გვეჭიროს რუსული მახვილი და ვემსახუროთ სახელმწიფოს — ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერს, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართულ რაზმებში... შესაძლოა თქვენ გაწუხებთ ფიცი. რომელიც მიეცით რუს იმპერატორს, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან ფიცის გამტეხნი საქართველოსთან 1783 წლის ტრაქტატის დამრღვევნი, საქართველოს პოლიტიკური სახელის წამშლელნი... ჩვენ როგორც სახელმწიფო, ვებრძვით რუსეთს და მოგიწოდებთ თქვენც სამშობლოს ერთგული სამსახური გაუწიოთ. თქვენი სამშობლო საქართველოა და არა რუსეთი. გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ქართულ სახელმწიფოს, ძირს ტირანები, რომლებმაც გაატახეს საქართველო ასწლიანი ბატონობის დროს. დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძოლაში. სჯობს ტყვეობაში სამარცხვინო სიცოცხლეს ამჯობინოთ მშობლიურ ველებზე სიკვდილი" (ცსსა, ფონ. 13. აღწ. 27, საქ. 4342, ფურც. 2-3).

მოტანილი საარქივო დოკუმენტი ნათლად მიგვანიშნებს, რომ საკუთარი შეიარაღებული ძალების შეუქმნელად შეუძლებელია მსჯელობა დამოუკიდებლობასა და სახელმწიფოებრიობაზე. არმია სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის დაცვის გარანტია. ამიტომაც ეს პრობლემა ჩვენში რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს. სახელოვანი მხედრული ტრადიციების მქონე ქართულ ჯარში სამსახური საპატიო და პრესტიჟული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეთათვის. ვფიქრობთ, ამ მამულიშვილურ საქმეში მაგალითი პირველ რიგში უნდა უჩვენონ ახალგაზრდა, პარლამენტარებმა, პარტიათა ლიდერებმა...

გურამ შენგელია.

აფხაზეთი — მოუშუშებელი ჭრილობა!

ხსოვნა გვეძახის!

აფხაზმა სეპარატისტებმა ორგანიზებულად, მიზნობრივად, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მასობრივად დახოცეს, სახლკარი გადაუწვეს სრულიად უდანაშაულო ათასობით ქართველს, საცხოვრებელი კერიიდან აყარეს ასობით ათასი მკვიდრი. ყოველივე ამას თან ერთვოდა გაუგონარი ტერორი, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, მშვიდობიან მოქალაქეთა პატივისა და ღირსების ხელყოფა. გაივსო საქართველო შავოსანი, ცრემლგამშრალი დედებით, ნაადრევად დაჭაღარავებული ქალებით, დაობლებული პატარებით.

ჩვენამდე მოღწეული ფაქტებით ჯალათებმა მოკლეს განათლების სისტემის 74 მუშაკი. მათ შორის ცნობილი პედაგოგები, სკოლის დირექტორები, უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორ-მასწავლებლები. მცირეწლოვან მოსწავლეებს პატივი აჰყარეს, ზოგიც დაკარგული ან ფიზიკურად დასახიჩრებულია (ბევრი მასწავლებლის ბედი დღემდე გაურკვეველია).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება ქედს იხრის და პატივს მიაგებს ჯალათურად მოკლულ, მუხანათურად დახვრეტილ სასიქადულო პედაგოგებს — კიმი კაჭარავას, ელვირა კვიტატიანს, ციური შერიას, ნინო ვეკუას, არიადნა შელიას, გოგელი ბაღათურიას, შოთა ჩხაიძეს, ბიძინა მგალობლიშვილს, იური ნორაკიძეს, კარლო და გიორგი ჩხენკელებს, ნათელა თოდუას, ნიკოლოზ კუპრავას, მურთაზ ქალდანს, მარგო გაგუას, ელგუჯა გვიშიანს, ოთარ კოპალიანს, გულნარა ჩალაძეს, აპოლონ გარდავას და მრავალ სხვას...

ჩადენილია საუკუნის დანაშაული. ამ დანაშაულის სააშკარაოზე გამომზეურება — ეს ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, რადგან არ შეიძლება მსგავსი ბოროტება დაუსჯელი დარჩეს. ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობა, განათლების ყოველი მუშაკი მანამდე ვერ მოისვენებს, ვიდრე კაცობრიობა აფხაზ სისხლისმსმელებს სამაგიეროს არ მიუზღავს.

პატივს მივაგებთ რა ჩვენს დაღუპულ კოლეგებს, თხოვნით მივმართავთ მსოფლიო პედაგოგიურ საზოგადოებრიობას, გვერდით ამოგვიდგნენ, რათა სიმართლე სააშკარაოზე გამოვიტანოთ. ამას მოითხოვს ასობით დაღუპული პედაგოგი, მშობელი, ბავშვი.

დაღუპულთა ხსოვნა და სახელი სამართლიან განაჩენს ელოდება!..

აფხაზეთის განათლების სამინისტრო, აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება.

მამა-შვილის თავგანწირვა

სამშობლომ არ დაივიწყა მისი ერთიანობისთვის დაცემული გმირების თავდადება და სიკვდილის შემდეგ საპატიო წოდებები მიანიჭა. მათ შორის გახლავთ სოხუმელი ნოდარ სიგუა, რომელიც მთავრობის მეთაურის ბრძანებულებით ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნის დირექტორის მოადგილემ ნოდარ სიგუამ სამშობლოს თავს დატეხილი უბედურება მოსკოვში, მივლინების დროს შეიტყო და დაუყოვნებლივ მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. აქ მას მამა და დისწული ელოდნენ. როგორღაც მოახერხა, და დისწული სასწრაფოდ თბილისში გამოამგზავრა, მამა კი ვერ დაიყოლია, ბატონმა მიხეილმა არ ისურვა სოხუმის დატოვება და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შვილს გვერდით ედგა.

კონფლიქტის პირველ დღეებში ნოდარ სიგუა შინაგანი ჯარების აფხაზეთის ქართული მხარის დანაყოფთან ერთად იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე შრომაში, ლიძავაში, აჩადარაში, გუმისთაზე... ყველგან გამბედაობის მაგალითს იძლეოდა. მისი თანამებრძოლები ვერასოდეს დაივიწყებენ ნოდარის ზეადამიანურ გამძლეობასა და მიზანსწრაფვას. ლიძავასთან, ორი დღე-ღამის ხანგრძლივობაში, ჭოგრიტით უთვალთვალ ებდა მტრის ტყვია-წამლით დატვირთულ ორ ავტომანქანას, რომლებიც ხელსაყრელ მომენტში ააფეთქა.

ყველაზე მძიმე გამოცდა, თურმე სოხუმში ელოდა. მტერმა უკვე ქალაქის ზოგიერთი უბანი დაიკავა. სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად მეზობლები მოინახულა და... სამ კაზაკს გადააწყდა. ორს იქვე გაუსწორდნენ, მესამე — ქართული შეიარაღებული ძალების შტაბში მიიყვანეს. ტყვე გამოტყდა, რომ ერთ-ერთი სახლის სარდაფში მისი 10 თანამებრძოლი იმალებოდა. ნოდარმა იკისრა მათი მოსპობა. მრავალრიცხოვან მტერს, რომელიც იმ უბანს აკონტროლებდა, ვაჟკაცურად და უშიშრად გაუსხლტა და სახლი ააფეთქა.

ნოდარ სიგუა უკანასკნელად საკუთარი სახლის კედლებში შეებრძოლა მომხდურთ. შვილს გვერდში ამოუდგა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოვლილი მამა, ბატონი მიხეილ სიგუა. მამა-შვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ებრძოდნენ აფხაზ სეპარატისტებს და დაქირავებულ „ბოევიკებს", რამდენიმეს გაუსწორდნენ კიდეც, მაგრამ, ბოლოს, უთანასწორო ბრძოლაში თვითონაც დაიღუპნენ.

სიგუების ახლობლებისა და მეზობლების, ამჟამად ლტოლვილების დიდი სურვილია მათი ქუჩა ნოდარ სიგუას სახელს ატარებდეს. დადგება დრო, როცა საქართველო თავის ძირძველ კუთხეს დაიბრუნებს და გმირის უკვდავსაყოფად ნოდარის მშობლიურ ქუჩას ხალხი მის სახელს დ[illegible]ქმევს...

საქართველოს რესპუბლიკის შსს პრესცენტრი

მხატვრებო, სწორდით!

...**თოვლიანი** დღე იყო. ტელეფონის ზარის წკარუნი გაისმა. სოხუმიდან გამოქცეული და ალაბედად ცოცხლად გადარჩენილი საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი ჭოლა კუკულაძე მირეკავდა. ერთ-ორ საათში იგი უკვე ჩემთან იყო და ომის ამბებს დაწვრილებით მიამბობდა...

ჭოლა კუკულაძე 70 წელს გადაცილებული კაცია, მაგრამ მიუხედავად მრავალი ჭირ-ვარამისა, მაინც ენერგიულად გამოიყურება. ბატონ ჭოლას სიყვარული სახვითი ხელოვნებისადმი ბავშვობის წლებიდანვე დაჰყვა. ჯარში რომ გაუწვევიათ ყმაწვილი, თავისას არ იშლიდა თურმე და ყოველდღე ვარჯიშობდა ხატვაში... იქვე მოუსწრო სამამულო ომმა. მალე ისე მოხდა, რომ მისი სამხედრო ნაწილი იძულებული გახდა პარტიზანული ბრძოლებისათვის მიემართა. ქართველ ჭაბუკს ორმაგი ბრძოლა უხდებოდა: ერთის მხრივ იარაღით ხელში მედგრად იბრძოდა გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ, მეორეს მხრივ შეძლებისდაგვარად ქმნიდა ბატალურ სცენებსა და ომის მონაწილეთა პორტრეტებს. ეს ყოველივე უკვე ბელორუსიის უღრან ტყეებში ხდებოდა. ჭაბუკმა პარტიზანმა ისე გაითქვა სახელი, რომ ბელორუსიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით მოსკოვში პარტიზანული მოძრაობის ცენტრალურ შტაბში გაიწვიეს. ეს იყო 1943 წლის 1 იანვარი, ხოლო იმავე წლის 14 თებერვლის ბრძანებულებით თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოგზავნეს. აქ იგი ფერწერის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და მ. თოიძის, ვ. შებუევის, ი. შარლემანის, ს. ქობულაძის, აპ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით დღითიდღე ეუფლებოდა სახვითი ხელოვნების საიდუმლოებას. სადიპლომო ნამუშევარი გახლდათ „პარტიზანთა სიმღერა", რომელმაც საგამოცდო კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა. დამთავრებისთანავე კი სამუშაოდ სოხუმში გაამწესეს. ეს იყო 1950 წელი. იმ დღიდან მოყოლებული იგი თითქმის ერთიანად შეესისხლხორცა და შეეჩვია საქართველოს ამ მხარეს (ქალიშვილიც ხომ აფხაზზე გაათხოვა?!). ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარედაც აირჩიეს, სადაც კარგა ხანს დაჰყო, ხოლო ამჟამად ამავე კავშირის განყოფილებას ხელმძღვანელობს. მას ხომ არასოდეს უარი არ უთქვამს საზოგადოებრივ დატვირთვაზე — სადაც საჭირო იყო აუცილებლად იქ გაჩნდებოდა. ასე მოხდა ამჯერადაც. უკანასკნელ დღემდე არ მიუტოვებია საყვარელი ქალაქი სოხუმი...

ტყვიების ზუზუნსა და ქვემეხების გრიალში ქმნიდა ჭოლა ქართველი მეომრების პორტრეტულ სახეებს. მის შემოქმედებით სახელოსნოში უამრავი ჩანახატი, ეტიუდი თუ დაუმთავრებელი ნამუშევარი დარჩა. ცრემლით სავს თვალებითა და ბოღმით ავსებული გულით სხვებთან ერთად დაადგ სვანეთის გოლგოთისებურ გზა შემდეგ ზღვამდე ჩამოაღწიეს ფოთიდან სამხედრო გემმა ბათ მამდე ჩამოიყვანა...

დღეს ჭოლა კუკულაძე თბილ სშია. იგი თავის გაფანტ მრევლს ეძებს და კრებს, რათ როგორც ყველა სხვა ორგანიზაც იამ, ისე აფხაზეთიდან ლტოლვ ლმა მხატვართა ჯგუფმა კვლ ქვეყნის სასიკეთოდ განაგრძ თავისი შემოქმედებითი მოღვაწ ობა.

სწორდით, აფხაზეთის ქართვე ლო მხატვრებო!

ნაზი ელიაშვილ

ლამაზი სიცოცხლე



არიან ადამიანები, რომელთაც მხოლოდ ამ ქვეყნიდან წასვლისას ამკობენ მრავალფეროვანი ეპითეტებით.

ვახტანგ ლოხოშვილი კი ის კაცი გახლდათ, რომელიც სიცოცხლეშივე იმსახურებდა ობიექტურ შემფასებელთა ხოტბასაც და ნაცნობ-მეგობართა სიყვარულსაც. სათნო და კეთილშობილი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, მგზნებარე პატრიოტი — აი, ის პიროვნული თვისებებ რითაც გამოირჩეოდა ვახტანგი.

სოხუმის მ. გორკის სახელობ უნივერსიტეტის ეკონომიკის ფ ულტეტის კურსდამთავრებულ 23-ე ბრიგადის გულრიფშის მ სატანკო ბატალიონის საფინან განყოფილების უფროსად მუშ ობდა, მაგრამ რიგით მებრძოლ ბთან ერთად გააფთრებით იბრძო მამულის ტერიტორიული მთლ ობის დასაცავად.

ერთი წელია გუმისთასთან ჩ რა მისი ლამაზი სიცოცხლე. ერ წელია ოჯახს გამოეცალა საიმედ ბურჯი, — დედას — საამაყო შ ლი, ცოლს — ერთგული მეგობ რი, შვილებს — მოსიყვარულ მამა, რომლის ნაკვალევზე მუდ თამამად ივლიან ახლობლებიც ნათესავ-მეგობრებიც.

რეზო ჯანელიძისა და რ მინ სამუშიას ოჯახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლის ესეისტური ჩანაწერებიდან

ჯოისის „ულისე“ და საქართველო

9. ჯოისი, რომაელი პოეტი მარციალუსი და კოლხური ხოხბები

ჯეიმზ ჯოისს „ულისეს“ მე-13 თავში მოჰყავს ოქსფორდში მარციალუსის ერთი ეპიგრამის ოდიოზური თარგმნის მაგალითი. მოგეხსენებათ, ეს ის რომაელი პოეტი მარციალუსია, რომელიც ერთ-ერთ [illegible] ნაწარმოებში კოლხური ხოხბის ევროპაში ჩაყვანაზე წერს.

მიუხედავად იმისა, სწორია თუ არა მარციალუსის მოთხრობილი ამბავი, ერთი რამ ფაქტია: რუსული „ფაზან“ (ხოხობი) კოლხურ ფაზისს უკავშირდება. ეს სიტყვა ქართულიდან შევიდა რუსულსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ენაში.

ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ხოხობი ფაზისურ ფრინველად არის ცნობილი.

არსებობს ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური გადმოცემები.

„ულისეში“ და სხვა თხზულებებში ჩანს, რომ ჯოისი იცნობს რომაელი პოეტის მარციალუსის ამ ეპიგრამასაც, რომელიც ეხება ლეგენდას თუ სინამდვილეს — კოლხური ხოხბების გემ „არგოთი“ პრეისტორიულ ევროპაში ჩაყვანის თაობაზე.

10. კვლავ ცირცეა და ჰელიოსის ხარები „ულისეში“

ჰომეროსული მოტივი: კირკეს (ცირცეას) მიერ ოდისევსის თანამგზავრების გაფრთხილება ჰელიოსის ხარები არ დახოცოთო, ჯოისს მხატვრულად დაშიფრული სახით აქვს მოცემული „ულისეს“ მე-14 თავში.

ამ თავს პირობითად „ჰელიოსის ხარები“ ეწოდება.

მზე, ჰელიოსი — ბერძნული მითის მიხედვით კოლხეთის მეფის, ცირცეას ძმის აიეტის მამაა. აპოლონიოს როდოსელი თავის გრანდიოზულ ეპიკურ პოემაში „არგონავტიკა“ აიეტის შესახებ წერს: „ჰელიოს ღმერთის შვილად იტყვიან ძლევამოსილი კოლხეთის მეფეს“.

ჰელიოსის ხარები უნაყოფონი და უკვდავნი არიან ოდისევსის პოემაში (სულ მუდამ ორმოცდაათია თითოეულ ჯოგში მათი რიცხვი, ისინი არ მრავლდებიან); ჯოისის რომანში კი ისინი „ნაყოფიერების“ სიმბოლოებად არიან წარმოსახული.

ბევრი ოქსფორდელი თუ სორბონელი მკვლევარი ჯოისის „ჰელიოსის ხარებს“ გარკვეული თვალსაზრისით ეგვიპტურ მითოსურ ხარს — აპისს უკავშირებს. თუ ეს ასეა, ამ აპისსაც აქვს, ჩემი აზრით, გარკვეული კავშირი ქართულ სამყაროსთან. ეს ნათელი გახდება, თუ აპისს დავუკავშირებთ ქართულ აპეურს.

ჯოისი ერთგან შენიშნავს: 1000 საათი მოვანდომეო „ჰელიოსის ხარების“ დაწერას.

სამაგიეროდ ეს შედევრი არაერთ ათას წელს იცოცხლებს.

11. ქართული სიტყვა „მოლი“ ძველბერძნულ მითებსა და თანამედროვე „ოდისეაში“ — ჯოისის „ულისეში“

რომან „ულისეში“ ქართული სიტყვა „მოლი“ არ გვხვდება, მაგრამ ერთი თავისი მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში ჯეიმზ ჯოისი წერს, რომ სასწაულმოქმედი მცენარე „მოლი“, რომელიც ულისეს (ანუ ოდისევსს) ღმერთმა ჰერმესმა მისცა იმ მიზნით, რომ კოლხი ქალის კირკეს, (ცირცეას) ჯადოს გადარჩენოდა, — მას თავისებურად აქვს მხატვრულად გააზრებული და გამოყენებული რომანის მე-15 თავში. ამ კომენტარს თვითონ ჯოისი იძლევა. ჯოისი იცნობს ქართულ სიტყვას „მოლი“.

ჯოისის „ულისეს“ დაშიფრულ ქვეტექსტში ზოგჯერ მეტია ნათქვამი, ვიდრე თვით ტექსტში. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ჰერმესის მიერ ულისესათვის სასწაულმოქმედი თილისმის — მოლის გადაცემა.

მოლი არა მარტო ქართველური, კოლხური, არამედ საერთო ქართული სიტყვაა, მაგრამ ჯოისს ის ბერძნების მიერ პრეისტორიულ კოლხეთზე შეთხზული მითებიდან აქვს აღებული.

ასე შეაღწია ქართულმა სიტყვამ მოლმა ინგლისურენოვან რომანისტიკასა და სამყაროში ჯეიმზ ჯოისის მეოხებით.

12. რომან „ულისეს“ მე-15 თავის ძველქართველური საიდუმლო

ჯოისის რომანის ამ თავს დაშიფრულად კოლხეთის მეფის აიეტის დის, მედეას მამიდის სახელი — კირკე (ცირცეა) ეწოდება.

ჰომეროსისა და არგონავტიკის ცირცეას ჯოისის რომანში შეესაბამება პერსონაჟი — ბელა კოენი, ის არის ჯოისის ცირცეა. რუდი არის ჰერმესი, ბლუმი — ულისე (ოდისევსი). მათი შესაბამისობა მეტად პირობითია, მაგრამ ამ ლიტერატურული ფაქტია. ასეთი იყო ჯეიმზ ჯოისის ჩანაფიქრი.

ერთხელ სორბონაში მითხრეს, რომ რომანის ეს ნაწილი 6-ჯერ გადაწერა ჯოისმა პარიზში. მე-15 თავში ჯოისი, როგორც ფოკუსში, თავს უყრის „ულისეს“ ყველა თემას და ყველა პერსონაჟს.

ის რომანის მეტად მნიშვნელოვანი თავია და მას კოლხეთის მეფის აიეტის დის სახელი კირკე (ცირცეა) ეწოდება.

ბერძნულში კირკე კოლხურიდან შესული ჩანს: კირკე — კოლხურად „მღვიმე“ ნიშნავს (ლიტერატურულ ქართულში — „მღვიმისაა“ გამოდის). „ივლისს“ კოლხურში „კვირკვე“ ჰქვია. ლეგენდა გამიგონია აიეტის დის — კირკეს სახელი — კვირკვე ჰქვიაო ივლისის თვეს. ბერძნულში კირკე — „წრეს“ უკავშირდება. მაგრამ ლათინური „ცირცეა“ — კოლხურ „ცირას“.

როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს: მე არც არაფერს ვამტკიცებ და არც არაფერს უარვყოფ.

მე ფაქტებს გადმოგცემთ.

დანარჩენი თქვენმა განსწავლულმა გონებამ განსაჯოს.

13. ბერძნული ჰერმესი, ეგვიპტური თოთი (თოუთა) და კოლხური „თუთა“

ჯოისის „ულისეს“ მე-15 თავში ნახსენებია ეგვიპტური დამწერლობის, სიბრძნის, სამართლიანობის და მრავალი სხვა ფუნქციის ღმერთი თოთი (თოუთა, თუთა), რომელიც ჰერმესის იპოსტასთანაა წილნაყარი ელინურ მითში.

ეგვიპტური დამწერლობის ღმერთი — თოთი (თოუთა) მთვარის ღვთაებაა. კოლხურში მთვარეს თუთა ჰქვია. ასე ემთხვევა ერთმანეთს მთვარის სახელი მკვდარ ენაში — ძველ ეგვიპტურში და ცოცხალ ქართველურში — კოლხურში.

იქნებ სწორია ისტორიის მამის — ჰეროდოტეს ცნობა ეგვიპტელთა და კოლხთა უძველესი სიახლოვის შესახებ?!

იქნებ ეს სიტყვა ოდესლაც, მითთა ჟამის დროს კოლხეთის ჰაობებში ჩარჩენილი ეგვიპტის ფარაონის სეზოსტრისის, (რამზეს II-ის) ეგვიპტელ მოისართა და მეეტლეთა მიერაა დატოვებული ქართველურ, კოლხურ მეტყველებაში?

ვინ იცის?! მაგრამ თუ ეს ასეა, აქ ისტორიის დიდი საიდუმლო მარხია.

ეს ფაქტი საქართველოს ისტორიისა და მითოსის სიმდიდრეა.

გაშიფრვა უნდა ეგვიპტურ მთვარის იეროგლიფს. მას ქართველურში თავისი კონტექსტი გააჩნია.

ვკითხულობ ჯოისის „ულისეს“ და XX საუკუნის დიდი ქართული რომანი, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ მახსენდება.

„დათა თუთაშხია“ საოცარ სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ შიფრს შეიცავს.

„დათა — დავითი“ — ძველ ებრაულ ენაზე „სულით საყვარელს“ ნიშნავს. „თუთა“ — ძველ ეგვიპტურსა და კოლხურში — „მთვარეს“ (და „მთვარის ღვთაებას“), „აშხა“ — ხეთურ ენაზე — „ღმერთს“, „თუთაშხა“ — „მთვარის დღეს“.

საბოლოოდ გამოდის, რომ „დათა თუთაშხია“ — „სულით საყვარელი მთვარის ღვთაებას“ ნიშნავს. ბარე ოთხი თუ ხუთი ენის: ძველქართველურის (კოლხურის), ძველ ებრაულის (ივრიტის) — ბიბლიის ენის, ძველეგვიპტურის და ხეთურის საერთო ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ გაგვეშიფრა „დათა თუთაშხიას“ — რომანის სახელწოდებისა და მისი მთავარი პერსონაჟის სახელისა და გვარის მნიშვნელობა, რომელსაც უსათუოდ სიმბოლური ფუნქციაც აკისრია.

უნებლიეთ მახსენდება, რომ ჯოისმა რომანი „ფინეგანის ქელეხი“ თითქმის 70 ენის „კოინეთი“ შექმნა?!

14. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ და ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ ლექსიკა

კითხულობ ჯოისის ჰიპერრომანს „ულისე“ და უნებლიეთ გახსენდება დიდი სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“...

საბა ყადაღადაუდებლად ყველა სიტყვას მეცნიერულად განმარტავს. ყადაახსნილია ჯოისის მხატვრული მეტყველება „ულისეში“...

ეს ლიტერატურული უხამსობა არ არის, სიტყვის ხმარების დიდოსტატური, ჯოისური სიზუსტეა. ეს XX საუკუნის პროზის ლექსიკის დამახასიათებელი თვისებაა.

კითხულობ „ულისეს“ და გახსენდება არა მხოლოდ საბა, არამედ ფრომის „ფსიქოანალიზი და ეთიკა“.

15. ოქროს საწმისის ორდენი

ჯეიმზ ჯოისი „ულისეს“ მე-15 თავში წერს ევროპის სახელმწიფოებში ოდესღაც არსებული ჯილდოს — ოქროს საწმისის ორდენის შესახებ.

თუ ევროპაში (და ირლანდიელი მწერლის ჯოისის ფანტაზიაში) არსებობდა ასეთი ორდენი, ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნება ოქროს საწმისის ორდენის შემოღება საქართველოში.

მხოლოდ საკითხავი ის არის, ამ ორდენით ჯოისის ქართულად მთარგმნელი უნდა დავაჯილდოვოთ, თუ ის ვანდალები, ვინც არგონავტებზე უფრო გაძარცვა კოლხეთი?!

ვფიქრობთ, პარლამენტს, ბულვარული პრესის კითხვისგან თავისუფალ დროს, არ აწყენს ზოგჯერ ჯოისის „ულისეს“ წაკითხვაც.

16. ჯეიმზ ჯოისის „შუა ღამის მზე“ და ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“

ჯოისი „ულისეში“ („ცირცეა“) ხატავს აპოკალიპსურ სურათს და ახსენებს „შუა ღამის მზეს“. ეს სახე უნებლიეთ გაგახსენებთ ნოდარ დუმბაძის „მზიან ღამეს“. მაგრამ მათი გარეგნული ფორმალური მსგავსება არ ნიშნავს მათ შინაგან, არსობრივ მსგავსებასაც. განსხვავება მეტად დიდია.

ნოდარ დუმბაძე უფრო რუსთველის „მზიან ღამეს“ ენათესავება, ვიდრე ჯოისის „შუა ღამის მზეს“.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით გამოთქმული მსგავსი, მაგრამ მეტად განსხვავებული მხატვრული სახეების არქეტიპი ბიბლიურ წიგნებში უნდა ვეძებოთ. და არა მხოლოდ იქ.

სათავე ერთია, გააზრება სხვადასხვაგვარი: ხან ფილოსოფიური, ხან თეოსოფიური, ხან მხატვრული, ხან რუსთველური, ხან ჯოისური, ხან დუმბაძისეული...

17. აიეტის „დრაკონის კბილები“ ჯოისის „ულისეში“

ჯოისის „ულისეში“ ნახსენებია ბერძნული მითის ერთი პასაჟი: მიწაში ჩათესილი დრაკონის კბილებიდან ამოდიან ჯარისკაცები და ერთმანეთს ებრძვიან.

ზოგიერთი ჰარვარდელი და კემბრიჯელი კომენტატორი ჯოისის ამ მითოლოგემის, ამ პასაჟის არქეტიპს ეძებს ყველგან, გარდა „არგონავტიკისა“. ვფიქრობთ, რომ ჯოისის რომანის ამ პასაჟის ასახსნელად, სწორედ ოქროს საწმისის მითი, სწორედ არგონავტიკა გამოდგება.

კოლხეთის მეფის აიეტის ბრძანებით კოლხეთის ველზე დათესილ დრაკონის კბილებიდან ამოიზრდება კოლხთა მეფის ძლიერი ლაშქარი. ამიტომ სხვა მითებში ჯოისის ამ მითოლოგემის გასაღების ძებნას, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს. სხვაგან გინდაც რომ ვიპოვოთ, „ულისეს“ ქართველი მკითხველი პირველ რიგში ოქროს საწმისის მითს გაიხსენებს და არა სხვა რომელიმე თხზულებას. და ეს სავსებით ლოგიკურია.

ნიუ-იორკში მინახავს: ამერიკელებმა ბრწყინვალე ნახატი მხატვრული ფილმი შექმნეს ამ თემაზე.

18. ტელეგონი — კოლხეთის მეფის აიეტის დის კირკესა და ოდისევსის ვაჟიშვილი. ოდისევსის საფლავი კოლხეთში?

კირკესა და ოდისევსის თემა ერთ-ერთი უმთავრესი თემაა „ულისეში“.

კირკესა და ოდისევსის ვაჟიშვილია ტელეგონი, და, მაშასადამე, — კოლხეთის მეფის აიეტის დისშვილი და მედეას მამიდაშვილი. მამის საძებრად წასული კირკეს შვილი ტელეგონი შემთხვევით კლავს ოდისევსს, — არ იცის, რომ ის მამამისია.

როცა ტელეგონი გაიგებს, რომ მამა მოკლა, ოდისევსის ცხედარს დედამისის — კირკეს კუნძულზე აიაზე ჩამოასვენებს და იქ დაასაფლავებს.

ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოდისევსი კოლხეთში დამარხეს მისმა, ფაქტობრივად, „მეორე ცოლმა“ კირკემ და ღვიძლმა შვილმა ტელეგონმა, რომელიც დედით ქართველია (კოლხია) და მამით ბერძენი (ოდისევსის ძეა).

კირკეს ველს ეძახდნენ კოლხეთის ველს ძველად, აიას კი — კოლხეთს.

შეიძლება ამის შემდეგ გაჩნდა „ოდის“ კულტი კოლხეთში. იქნებ მანამდე?! ვინ იცის?!

ათას ფიქრს აღძრავს ჯოისის „ულისე“ და მისი ძველბერძნული და ძველკოლხური არქეტიპები.

19. ორფეოსი ფაზისში

ოქროს საწმისის მითს დიდი ადგილი უჭირავს ჯოისის „ულისეში“.

უნებლიეთ გახსენდება. არგონავტებს ბორეადებთან (შდრ. ბორეა და ჰიპერბორეელები!) და დიოსკურებთან (სოხუმის ძველისძველი სახელწოდებაა!) ერთად თვით ორფეოსი ჩამოჰყვა კოლხეთში.

იქნებ ბევრი არც დაფიქრებულა იმაზე, რომ მითის თანახმად ფაზისში (ფოთში) იყო თავად ორფეოსი!

რატომ არ უნდა დავაარსოთ ფოთში ან ქუთაისში (ან ორივე ქალაქში ერთად) ორფეოსის მსოფლიო მუსიკალური დღესასწაული!

სად არის, ქართველებო, ჩვენი ფანტაზია?!

იქნებ კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი, ფილარმონია, ფოთისა და ქუთაისის მესვეურები ჩაუფიქრდნენ ამ ლამაზ თემას?! და დავაარსოთ ქართული „ოქროს ორფეოსის“ მსოფლიო დღესასწაული და პრიზი!

იქ, სადაც არსებობს ეს დღესასწაული, ორფეოსი სიზმარშიც არ ყოფილა. ჩვენ ჩვენმა პრეისტორიამ და ისტორიამ მოგვცა ეს პრეროგატივა და პრიორიტეტი. ის უნდა გამოვიყენოთ!

20. ტროას აჩრდილები

ულისე (ოდისევსი) ტროას ომის მონაწილეა.

სამი თუ ოთხი კოლხური, ქართველური ტომი მონაწილეობდა პრეისტორიულ ტროას ომში. ისინი ფაქტობრივად ებრძოდნენ ოდისევსს, ულისეს.

ტროას ომიდან შინმიმავალ ულისეს, (ოდისევსის) ელინ თანამგზავრებს კოლხეთის მეფის და — ჯადოქარი კირკე (ცირცეა) ღორებად აქცევს. ეს მეტად სიმბოლური სურათია.

ამ ტროას გმირის სახელი ჰქვია ჯოისის „ულისეს“, რომელიც მისი თანამედროვე ადამიანის დეგრადაციაზე, დეჰუმანიზაციაზე, გაცხოველებაზეც მოგვითხრობს.

ამიტომ, როცა „ულისეს“ კითხულობ, გახსენდება არა მხოლოდ ჰომეროსის „ოდისეა“, არამედ ფილოსოფოს შპენგლერის ეპოქალური თხზულება „ევროპის მზის ჩასვლა“... ჯოისის „ულისე“ თითქოს კაცთა მოდგმის მზის ჩასვლაზე მოგვითხრობს, მაგრამ თავად კაცთა მოდგმის მზის ამოსვლის მაცნეა.

21. მესამე თვალი

ჯეიმზ ჯოისი მეტად რთული მწერალია. მას „XX საუკუნის დანტედ“ მოიხსენიებენ ევროპასა და ამერიკაში. ჩემი აზრით, ჯეიმზ ჯოისი უფრო XX საუკუნის ჰომეროსია, ვიდრე დანტე.

სიტყვამ მოიტანა და ისიც ვთქვათ: დანტეც ეხება ძველ კოლხეთს, მედეასა და იაზონის თემას, ხოლო მისი „ღვთაებრივი კომედიის“ მესამე ნაწილი — „სამოთხე“ დიდად არის დავალებული დიდი ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერის (ფსევდოდიონისე არეოპაგელისა) და მისი მოძღვრის იოანე ლაზის ფილოსოფიური ხილვებით. პეტრეს ღვაწლი ცნობილია, იოანე ლაზის ღვაწლი კი სხვებზე უკეთ ჰონიგმანმა წარმოაჩინა.

მაგრამ ეს სხვა თემაა.

ამაზე სხვა დროს.

მივუბრუნდეთ ჯოისის „ულისეს“.

არსებობს ულისელოგია — ულისემცოდნეობა და ჯოისოლოგია — ჯოისმცოდნეობა.

ჯოისმა, როცა დაკარგა ერთი თვალი, ის ნახევრად მაინც დაემსგავსა ჰომეროსს, რომელიც ორივე თვალით იყო ბრმა. ცალთვალა ჯოისი უკეთ ხედავდა, ვიდრე ისინი, ვისაც ორივე თვალი საღსალამათი ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ ჯეიმზ ჯოისი სამყაროს, მზეს და ადამიანს უმზერდა მესამე თვალით, მესამე თვალი — გენიოსის თვალია.

* * *

დასანანია, რომ ღვთაებრივ სამყაროს — მითიურ და საკრალურ ძველქართველურ კოლხეთს, რომელიც ჩამქრალი ვარსკვლავის შუქს ჰფენს მეოცე საუკუნის სულიერ ცხოვრებას, ჯოისის „ულისეს“ თუ დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“, — დღეს ანგრევენ ყველა ჯურის ბარბაროსები და ვანდალები, შინაური და გადამთიელი მტრები, მაგრამ ეგზისტენციალისტური ისტორია ისე არ გასრულდება, რომ თავისი საბოლოო სიტყვა არ თქვას.

ჩვენ გვჯერა, რომ ბოროტსა სძლევს კეთილი, მაგრამ კეთილს ბოროტი — ვერასოდეს.

საჭიროა დავიცვათ ყოველი გოჯი მიწა, ვით ციხე ჯოგი, აღვადგინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მტერს არ უნდა დავუთმოთ ქართველი ერის პრეისტორიული და ისტორიული, მითოლოგიური და სულიერი საარსებო სივრცის ერთი მისხალიც.

საქართველოს სულიერი სივრცე გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს გეოგრაფიული სივრცე. ის ქვეყნებს და კონტინენტებს, თითქმის მთელ მსოფლიოს სწვდება. ამ სულიერ სივრცეს ისევე უნდა დაცვა, როგორც თვალის ჩინს.

ყველა საგანს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.

დუბლინი-ლონდონი-თბილისი.

დასასრული, დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 55.

ქართველი მეცნიერის საერთაშორისო აღიარება

ცნობილმა ქართველოლოგმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ შარშან შემოდგომაზე ამერიკის ბიოგრაფიათა ინსტიტუტიდან ორი წერილი მიიღო. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ულოცავდა ქართველ მეცნიერს, რომ ბოლო 10 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო მისი სახელი შეტანილია ინსტიტუტის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცნობილ საერთაშორისო ცნობარში „მსოფლიოს 5.000 პიროვნება“ და „გამოჩენილ მოღვაწეთა საერთაშორისო ცნობარი“, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში 1994 წელს გამოიცემა.

ვაქვეყნებთ ერთ-ერთი წერილის შემოკლებულ თარგმანს:

„ძვირფასო ბატონო ხინთიბიძე! გილოცავთ! თქვენი სამაგალითო მეცნიერული მოღვაწეობის გამო სარედაქციო კოლეგიამ რეკომენდაცია გაგიწიათ ინსტიტუტის რედაქტორთა სამმართველოს საბჭოს წინაშე „გამოჩენილ მოღვაწეთა საერთაშორისო ცნობარის“ მეხუთე გამოცემაში თქვენი ბიოგრაფიული მონაცემების შესატანად.

დაგეგმილია, რომ „გამოჩენილ მოღვაწეთა საერთაშორისო ცნობარის“ მეხუთე გამოცემა, რომლისთვისაც ბოლო ათწლეულში მხოლოდ რამდენიმე, ჭეშმარიტად ფასეული მიღწევების მქონე ადამიანთა სახელებია შერჩეული, 1994 წლის დასაწყისში დაიბეჭდოს. მსოფლიოს ბიბლიოთეკებს, პროფესიულ ჯგუფებს, უნივერსიტეტებს, გამომცემლებს, მკვლევარებსა და იმ დაწესებულებებს, რომლებიც უკვე ოცდაექვსი წელიწადია აგროვებენ ამერიკის ბიოგრაფიათა ინსტიტუტის გამოცემებს, წინასწარ აქვთ შეკვეთილი აღნიშნული ცნობარის ეგზემპლარები.

თქვენი მიღწევები იყო დამსახურებული, გათვლილი, დაგეგმილი და განვითარებული. შერჩევაც სწორედ დამსახურების მიხედვით მოხდა, და მე გილოცავთ, ბატონო ხინთიბიძე, შესანიშნავი მაგალითის მოცემისათვის. გისურვებთ მომავალში დიდ მიღწევებს. ველი თქვენს პასუხს ჩვენს შტაბ-ბინაში.

პატივისცემით,

ჯ. მ. ევანსი,
რედაქციის დირექტორი“.

ეს შერჩევა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის მიერ ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო ცენტრებში წაკითხული ლექციებით, მოხსენებებითა და გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოკვლევებით. კერძოდ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექციები, სხვადასხვა წლებში წაკითხული ოქსფორდში, კემბრიჯსა და ბირმინგემში, იენაში, მადრიდსა და ვიტორიაში, ფლორენციასა და ვენეციაში, ვაშინგტონში, მოხსენებები, წარმოდგენილი მედიევისტთა საერთაშორისო კონგრესებზე ჰელსინკსა და ოტავაში 1987 და 1992 წლებში, ბიზანტინისტთა კონგრესებზე ვაშინგტონსა და მოსკოვში 1989 და 1991 წლებში. ქართველოლოგიის დღეზე ლონდონში 1989 წელს და რუსთველოლოგიურ სიმპოზიუმზე ჰელსინკში — 1991 წელს, თელ-ავივში 1991 წელს სამეცნიერო გამოკვლევები, შუა საუკუნეების მკვლევართა საერთაშორისო სიმპოზიუმზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ათენში, იენაში, ვაშინგტონში, მადრიდში, პარიზში, ამჰერსტში (აშშ), ჰელსინკში, კონსტანცაში, ტურკუში (ფინეთი). ლონდონში, ოტავაში.

როგორც პროფესორმა ე. ხინთიბიძემ თქვა, ამერიკის ბიოგრაფიათა ინსტიტუტის არჩევანი ყველაზე მეტად იმით არის აღსანიშნავი, რომ მოხდა ქართველოლოგიური პრობლემატიკის აღიარება საერთაშორისო მასშტაბით.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა განეკუთვნება ქართველოლოგიის — კერძოდ, რუსთველოლოგიისა და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების სფეროს.

მოეწყობა გულმოწყალების კვირეული

თანამემამულენო!

მოგმართავთ საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, რომ მიმდინარე წლის აპრილ-მაისში აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებში მოეწყობა ტრადიციული გულმოწყალების კვირეული.

კვირეულის მიზანია თითოეული მოქალაქის გულში გააღვიძოს სიკეთე და გონიერება, სულგრძელობა და მიმტევებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნად სიმშვიდისა და სთნოების დამკვიდრებას, გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამემამულეების, ავადმყოფების, ინვალიდების, მარტოხელების, სტიქიური უბედურებით დაზარალებულების, ლტოლვილებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის გაფართოებას.

გასული წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ კვირეულის პერიოდში მრავალმა რაიონმა, საწარმო-დაწესებულებამ, საზოგადოებრივმა და კერძო სტრუქტურებმა მიიღო მონაწილეობა, ათასობით გაჭირვებულს მოულოცეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და შეძლებისდაგვარად გაუწიეს დახმარება.

შეგახსენებთ, რომ სამთავრობო დადგენილების თანახმად, საწარმოო დაწესებულებებს და სხვადასხვა სტრუქტურებს აქვთ უფლება, გამოიყენონ მოგების 10% საქველმოქმედო საქმიანობისათვის.

ველით თქვენს გულმოწყალებას, ელიან თქვენს დამხმარედ გაწვდილ ხელს გაჭირვებული მარტოხელები და გაიღეთ მოწყალება მათთვის, ვისაც ეს ესაჭიროება, დარწმუნებული იყავით, რომ თქვენს მიერ გაღებული სულ მცირედიც კი მოხმარდება იმ გაჭირვებულებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ასე მოგვიმრავლდნენ დღევანდელ საქართველოში.

ჩვენი რეკვიზიტებია:
თბილისი, საბურთალოს ბინსოცბანკი, 000700492, კოდი 521664.

სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო, საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი.

«არაგვი ბიზნეს ბანკმა»
განაახლა
სავალუტო
კრედიტების
გაცემა
თვიური 20-25 პროცენტის დარიცხვით.
კრედიტი გაიცემა მყარი გარანტიით.
მოგვაკითხეთ ძველ მისამართზე:
თავისუფლების მოედანი, № 4.
ტელ: 99-82-23, 93-25-94
15დან 17 საათამდე.

Bekanntmachung für Deutsche
zur Wahl zum
Europäischen Parlament

Am 12. Juni 1994 findet die Wahl der Abgeordneten des Europäischen Parlaments aus der Bundesrepublik Deutschland statt.
Deutsche, die außerhalb der Bundesrepublik Deutschland leben und hier keine Wohnung mehr innehaben, können bei Vorliegen der sonstigen wahlrechtlichen Voraussetzungen an der Wahl teilnehmen.

Für ihre Wahlteilnahme ist unter anderem Voraussetzung, daß sie

1.1 seit mindestens drei Monaten in den übrigen Mitgliedstaaten der Europäischen Gemeinschaft eine Wohnung innehaben oder sich mindestens seit dieser Zeit dort gewöhnlich aufhalten (auf die Dreimonatsfrist wird ein unmittelbar vorausgehender Aufenthalt in der Bundesrepublik Deutschland angerechnet)

oder

1.2 a) in Gebieten der übrigen Mitgliedstaaten des Europarats leben oder
   b) in anderen Gebieten leben und am Wahltage seit ihrem Fortzug aus der Bundesrepublik Deutschland nicht mehr als 10 Jahre verstrichen sind,

und

vor ihrem Fortzug nach dem 23. Mai 1949 aus der Bundesrepublik Deutschland mindestens drei Monate ununterbrochen in der Bundesrepublik Deutschland gewohnt oder sich dort sonst gewöhnlich aufgehalten haben;

2. in ein Wählerverzeichnis in der Bundesrepublik Deutschland eingetragen sind. Diese Eintragung erfolgt nur auf Antrag. Der Antrag ist auf einem Formblatt zu stellen; er soll bald nach dieser Bekanntmachung abgesandt werden. Einem Antrag, der erst am 23. Mai 1994 oder später bei der zuständigen Gemeindebehörde eingeht, kann nicht mehr entsprochen werden (§ 17 Abs. 1 der Europawahlordnung). Antragsvordrucke (Formblätter) sowie informierende Merkblätter können bei
   - den diplomatischen und berufskonsularischen Vertretungen der Bundesrepublik Deutschland,
   - der Datenerfassung für den Bundeswahlleiter, Statistisches Bundesamt, Zweigstelle Berlin, Postfach 2 76, 10124 Berlin,
   - den Kreis- und Stadtwahlleitern in der Bundesrepublik Deutschland

   angefordert werden.

Weitere Auskünfte erteilen die Botschaften und berufskonsularischen Vertretungen der Bundesrepublik Deutschland.

Tiflis, den 05. April 1994

Botschaft der Bundesrepublik Deutschland
Agmashenebeli Ave 166
Tbilissi
Tel: 95 33 26 oder 95 09 36

Öffnungszeiten: Montag bis Freitag
09.30 bis 11.30 Uhr

ინფორმაცია

„იბერიის“ ლენტიდან

თბილისი. სააგენტო „იბერიის“ ცნობით, პურ-ფუნთუშეულის ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების, სახელმწიფო ვაჭრობის, პურისა და სურსათის მაღაზიების საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მეწარმეობის გაფართოების მიზნით, ქალაქში განლაგებულ პურისა და სურსათის მაღაზიებს ნება დაერთოთ დადონ ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებები კერძო პირებსა და სტრუქტურებთან მათ მიერ კანონიერი გზით შექმნილი ფქვილით წარმოებული პურ-ფუნთუშეულის მიღებასა და რეალიზაციაზე და რეალიზაცია აწარმოონ ცალკე სპეციალურ სექციებში ჰიგიენურ-სანიტარული პირობების მკაცრი დაცვით, ივაჭრონ როგორც კუპონებით, ისე მანეთებით.

თბილისი. სააგენტო „იბერიის“ კორესპონდენტს მეტროპოლიტენის სამმართველოდან შეატყობინეს, რომ გუშინწინ, 6 აპრილს, 20.15 საათზე, მეტროპოლიტენის სადგურში „ვაგზლის მოედანი“ მოხდა უბედური შემთხვევა. ლიანდაგებში ჩავარდა მოქალაქე, რომელიც შემხვედრმა მატარებელმა იმსხვერპლა. მოქალაქის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით, საბურთალოს ხაზზე მოძრავი ერთ-ერთი მატარებლის ვაგონში გარდაიცვალა 1938 წელს დაბადებული, ქობულეთის მკვიდრი თენგიზ ვალერიანის ძე ჩაკვეტაძე.

ორივე ამ უბედური შემთხვევის გამო მეტროპოლიტენის მუშაობა რამდენიმე საათით შეფერხდა.

თურქ მაყურებლებთან შეხვედრის წინ

საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, რომელსაც ამირან შალიკაშვილი ხელმძღვანელობს, ანკარაში „მცირე გასტროლებისათვის“ ემზადება. გასტროლები 10 აპრილს დაიწყება ვაჟა-ფშაველას მიხედვით დადგმული სპექტაკლით „სტუმარ-მასპინძელი“. ქართველი მიმების საგასტროლო ფონდში ერთადერთი სპექტაკლია, რომელსაც თურქი მაყურებელი გაეცნობა 10 დღის განმავლობაში.

მოიპარეს სპილენძის მავთული

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ქუთაისში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმის გამო, რომ სოფელ ლეღვახა და საწირეს შორის დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ჩამრეს და გაიტაცეს სატელეფონო კავშირის 2200 მეტრი სპილენძის მავთული.

ზარალი შეადგენს 3 მილიონ რუსულ მანეთს.

დამნაშავეს საკადრისად მიეზღო

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ თბილისის ისნის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე დ. გ. ბერუაშვილის ბრალდებით. ბერუაშვილმა, რომელიც ყოფილ გვარდიელად ასაღებდა თავს, 1993 წლის 5 ივლისს ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე, უნებართვოდ შეიძინა ხელყუმბარა, შეაგდო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძო ჯიხურში იმის გამო, რომ გამყიდველმა მას უფასოდ არ მისცა არაყი და სიგარეტი. აფეთქების შედეგად ზარალმა 205 ათასი რუსული მანეთი შეადგინა, ხოლო გამყიდველმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება — მას მარჯვენა კიდური მოჰკვეთეს.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 203-204 მუხლების გათვალისწინებით სასამართლომ დ. გ. ბერუაშვილს მიუსაჯა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით.

ჩვეულება იგივე რჯულია?

იარა და ტკივილი ჩვენი

ფიქრები ხმამაღლა

დიდი განსაცდელის ჟამს ქართველი კაცი უკან, განვლილი გზისკენ მიიხედავს, სიამაყით წელში გასწორდება, სულში იმედის სხივი ჩაესახება: საუკუნეების მანძილზე საქართველოს ბევრჯერ დასტყდომია თავს უბედურება, არ დაკლებია არაბთა და მონღოლთა, ოსმალთა, სპარსთა და სხვა გადამთიელთა რბევა-თარეში. მაგრამ, უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსავალი თვითონვე უპოვნია, მუშტად შეკრული ერისშვილები მტერს უშიშრად დახვედრიან, გაუმარჯვნია სამშობლოს სიყვარულით ანთებულ რაინდულ ხელს. ჩვენი თვალსაწიერი სწვდებოდა ისტორიულ შორეთს — ფარნავაზისა და ქუჯის შეკავშირებას, ერთობლივი ძალით საქართველოს საზღვრებიდან დამპყრობთა განდევნას. ასე იყო შემდეგაც, სამშობლოს ერთგულებას ზვარაკად შეწირული რამდენი მეფის, დედოფლის, მთავრის, უბრალო ადამიანის ცხოვრებას მიითვლის ჩვენი წარსული: შალვა ახალციხელის, ცოტნე დადიანის, რატი სურამელის, სარგის ჯაყელის და სხვათა თავდადება ქართველში სიმხნევეს და სიმტკიცეს აღვიძებს. ნუღარასოდეს განმეორდება, ჩვენი ერის შვილი სხვა ქვეყნის ძლიერებას იცავდეს და, როგორც „მამლუქშია“ — ქართველი მომაკვდავ ქართველს „ვაი ნანას“ ამოძახილით ცნობდეს.

უნდა ვიცოდეთ, რა საფუძველზე ვდგავართ, რა მოგვდევდა ძველთაგან, გავერკვეთ ჩვენი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების ბუნებაში.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, შეუდრეკელ მხედრულ ღირსებას გვერდს უმშვენებს ჩვენი ტრადიციული შემწყნარებლობა და გულმოწყალება. ბევრი საკუთარ მიწასმოწყვეტილისათვის მოგვეცია სამკვიდრებელი. ეს ქართველის ხასიათში, ჩვეულებაში მტკიცედ გამჯდარა წესით და უნდა იცოდეს ყველამ — ჩვენ მეგობრობისას არ „ვთამაშობთ“. მთელი ისტორიის მანძილზე სხვებს ვუწვდიდით ხელს. მით უმეტეს, საჭიროა ამის თქმა დღეს, როცა ათასგვარი მონაჭორია გავრცელებული საქართველოში მოსახლე სხვა ერის წარმომადგენლებთან ჩვენს, თითქოსდა, არასასურველ დამოკიდებულებაზე.

იაკობ ცურტაველის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა ქმნილებებზე აღზრდილები, ბოლნისის, გელათის, ბიჭვინთის, ალავერდის, ნიკორწმინდის, სვეტიცხოვლის ამგებთა მემკვიდრენი შეუძლებელია დღესაც არ იყვნენ შემწყნარებლები, სხვისთვის ხელის გამწვდენნი.

არც ერთი ჭეშმარიტი აფხაზი და ოსი მამულიშვილის ბრალი არ არის ის, რაც ხდება დღეს, — სხვისგან წაქეზებული ზოგიერთი უმადურის ნამოქმედარია მხოლოდ.

ჩვენი უბედურება და საწუხარი ახლა ის არის, როგორ ვერ ვკიდეთ თვალი საქართველოს გათითოკაცებას, ამბიციურობისა და პიროვნულის მომძლავრებას. მომძლავრებას ვამბობთ იმიტომ, რომ ქართველს კარგ თვისებებთან ერთად გარკვეულწილად ეს უღირსობაც მოსდევდა, ვიცით ჩვენ ეს ისტორიიდან.

გახსოვთ ალბათ, როგორ უჭირდა სვანეთის გზაზე საკუთარი მიწიდან აყრილ ქართველობას — ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს; რამდენი დაიღუპა... ბევრი კვდებოდა მათ გადასარჩენად, მაგრამ, განა ყველამ იღო ყურად რადიოთი, ტელევიზიით, პრესით გადმოცემული თხოვნა: გვესაჭიროება საწვავი გასაჭირში ჩავარდნილთა გადასარჩენად. თბილისში კი ბენზინის რიგში მსუბუქი მანქანების უწყვეტი ნაკადი იდგა. ბედის დაცინვა არ იყო? მთასა და ხეობას შეყუჟული გათოშილი ადამიანები შველას ითხოვდნენ და დედაქალაქის ქუჩებში კი საწვავით მომარაგებული მანქანები დაგრიალებდნენ. სხვათა შორის, საჭესთან მჯდომთაგან ბევრს არც ის უფიქრია, საათობით ტრანსპორტის მომლოდინე ადამიანები გზად მაინც გაეყოლებინა.

ხომ არ მოხდა ისე, რომ ეს უზარმაზარი ეროვნული ტკივილი ყველამ არ გაითავისა, გულთან არ მიიტანა. არც ასეთი დამოკიდებულება მოგვდგამდა მამა-პაპათაგან. საერთო განსაცდელის ჟამს მთელი საქართველო ფეხზე დგებოდა. და ეს იყო სიმტკიცის საფუძველი!

მხოლოდ აზროვნებადაბნელებულისთვის იყო ეს ომი სხვისი ჭირი. ვაი თუ ჩვენი დაბეჩავებული ეკონომიკის აღორძინებასაც (ესეც ომია) ასე შევხედოთ, სხვისი მოსაგები გავხადოთ, ჩვენ განზე გავდგეთ, მხოლოდ შედეგით ვისარგებლოთ.

ქართველი მშრომელი კაცისთვის ტრადიციული იყო მუხლჩაუხრელი შრომა, ეროვნული სამეურნეო დარგების, შინამრეწველობის განვითარება.

ქართველმა კაცმა ალებ-მიცემობის ყადრიც იცოდა. მაშინ არ იყო ჯიხურომანიით გატაცება. როგორც ვიცით, ჰუმანური დახმარებაც და შემოტანილი საქონლის დიდი ნაწილიც ჯიხურებში ჩამოლაგებული — ხელშეუხებელია ამ ჯიხურების ადგილსამყოფელიც და დიდი შემოსავალიც. არა მარტო ვიკითხოთ, მოვკითხოთ კიდეც — საიდან მოდის ამდენი საქონელი წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებულ ჯიხურებში. გინახავთ, ალბათ, გამოფენილი ფერად-ფერადი კანფეტების წინ მდგარი ატირებული ბავშვი, დედას რომ სთხოვდა მიყიდეო. ბავშვის მშობლები წელებზე ფეხს იდგამენ, მაგრამ არა აქვთ საშუალება შვილს ეს სურვილი შეუსრულონ. ასე გამოდის — ვინც მუშაობს, ის არ ჭამს... რა სტიმული უნდა ჰქონდეს პატიოსან შრომას?!

რამდენ რამეზე გვაქვს განგაში ასატეხი! ახალგაზრდა ქალი სადარბაზომდე ვერ მიგიცილებია, თუ ვიღაც ვიგინდარამ თვალი დაადგა შენს, ან ქალის ნივთს, ან ტანსაცმელს — იარაღის დახმარებით იქვე დაგატოვებინებს. არ უშველის ამას არც მანდილი, არც ზნეობრივი შეგონებები.

ჩვენ, შედარებით უფროსმა თაობამაც ხომ არ შევუწყვეთ ხელი ახალგაზრდების სულში ასეთი სისასტიკის, უხამსობის გაჩენას, დამკვიდრებას. ჩვენ ხომ ერთობ უხეშად და დაუნდობლად ვექცევით ერთმანეთს. გუშინ სუფრასთან ერთად ვისხედით, დღეს კი გაზეთში, ტელევიზიით, რადიოთი ისე შეგვიძლია გამოვლანძღოთ ერთმანეთი, წარბიც არ შევიხაროთ, რასაკვირველია, ჩვენ ტანსაცმელს კი არ ვხდით — სულს ვხდით, ვაშიშვლებთ. მერედა გვაქვს იმის უფლება, ასე ურცხვად ვაფათუროთ ხელი სხვის სულში? ეს ხომ თავისუფლება არ არის. ჩვენ იმასაც არ ვუწევთ ანგარიშს, რომ ახალგაზრდებს მაგალითი არა მარტო შრომაში, არამედ ზნეობრივ მოქმედებაშიც მივცეთ. თითო აგური აქაც — სულის შენებაშიც უნდა მივიტანოთ; მორალსა და ეთიკას მორგებული კრიტერიუმები გავამაგროთ, ტრადიციები მოვიშველიოთ.

ღალატი ყველა დროს ეროვნულ უბედურებად იყო მიჩნეული. დღესაც ასე უნდა იყოს და ამაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც სცოდავენ. სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე არ გადის ან, არადა, ამის საშუალებას სწორედ ჩვენი ბედშავი ყოფაც იძლევა. კაცის გუნება-განწყობის შექმნას დადებითი მაგალითები სჭირდება. ამ საქმეში ადამიანის ცხოვრების ყველა სფერო თუ არ გავითვალისწინეთ, რა გვქონდა, რას ვეყრდნობით, რა გამოგვადგება დღეს — თუ არადა ეროვნულობა მხოლოდ და მხოლოდ დროშის ქნევა და მიტინგობანა რომ არ არის? რას მოგვიტანს მერე ეს, ხომ გვიჩვენა განვლილმა დრომ.

ჩვენ სტუმართმოყვარე ერი ვართ, არა მარტო სუფრას გავუშლით ხოლმე, საცხოვრისიც შეგვითავაზებია სხვა ერის შვილებისათვის. ასე იყო ტრადიციულად. რადგან გზის გასაყარზე მდებარე ქვეყანა ვიყავით და ბევრი შევიფარეთ. ახლა იმის მტკიცება და ათასჯერ განმეორება არას გვარგებს: საუკუნეების მანძილზე ჩვენს გვერდით დამკვიდრებული სტუმარია, რომ ვიძახით. რატომ გვინდა მოვხსნათ პასუხისმგებლობა ან მოვალეობა ადამიანებს, რომლებსაც საქართველოც თავის სამშობლოდ მიაჩნიათ — ქურთმა მამედოვმა ქართული ეკლესია ააშენა თბილისში, რუსი მეცნიერი იური ბოგომოლოვი ქართულ მეცნიერებას ემსახურება. რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება...

ურთიერთობის ამოსავალი უნდა იყოს არა ის, რომ იგი სტუმარია, არამედ თუ რა პოლიტიკას ატარებს რეალურად იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც თავის დროზე შეიფარა, რომლის შვილად თვლის თავს და საქართველო სამშობლოდ მიაჩნია.

ერის სულში გამონასკვული სხვა ერის შვილებთან ტრადიციული კეთილი ურთიერთობის შესახებ რამდენი რამ დაწერილა პირველი ქართული წიგნიდან დღევანდლამდე. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, არცერთი წესი და ჩვეულება, სჯული შემთხვევით არ წარმოშობილა, მათ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და გამოხატავს მის სულიერ თვისებურებას.

ჩვენ დროს, როცა ეროვნული არსებობის საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა, ენის სტატუსის დაცვასთან, კულტურის სფეროში თავისუფალი აზრის მხარდაჭერასთან ერთად (ჩვენ სულაც არ გვინდა ვთქვათ, რომ მაშინ ყველაფერი შეუცდომლად კეთდებოდა) ხომ იქნა გათვალისწინებული ეროვნული და სისხლხორცეული! ქართველთა სამხედრო-სასიცოცხლო ბრძოლების აღმნიშვნელი დიდგორობა, ერის ღვაწლმოსილ შვილთა სახელის დღის დაწესება — ილიაობა, ვაჟაობა, შოთაობა და სხვა — ხალხს რომ არ გაეთავისებინა, რასაკვირველია, დღემდე არც მოიტანდა..

და, საერთოდ, როგორ შეიძლება აუგად მოვიხსენიოთ ყველაფერი ის, რაც ბოლო ათწლეულებში ერის შემოქმედებით შრომას, ნიჭს, გონსა და მარჯვენას შეუქმნია?

ვიზიარებ აზრს, რომ „ჩვენ არავის მივცემთ „ისტორიის პრივატიზაციის“ უფლებას, ერის ისტორია ეკუთვნის ყველას, მთელს ერს და არა ცალკეულ პიროვნებებს“. ეს დიდი პრობლემაა! მისი ხორცშესხმა ჩვენგან გონიერ მიდგომას მოითხოვს. რაც ერს შეუქმნია, მანვე უნდა გამოიყენოს, ეროვნულ ძლიერებას მიუმატოს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პროცესია და მასში ხალხის ყოფისა და ცხოვრების ყველა მხარე უნდა იყოს ჩართული.

არ შეიძლება არ დაეეთანხმოთ ცნობილ ეთნოგრაფს ლევან ფრუიძეს: „დღეს, ამ რთული ვითარებიდან ერთ-ერთი გამოსავალი საკუთარ თავში დაბრუნებაა, იმ მეურნეობრიობისა და ყოფითი ურთიერთობის აღდგენა, რაც ქართველობას საშუალებას აძლევდა კუთვნილ საცხოვრისში ჩადუღაბებულიყო და ჩვეული სახე არ დაეკარგა. ეს იქნებოდა საწარმოო ტრადიციები, მიწის დამუშავების მაღალი კულტურა — ეკოლოგიურ წონასწორობას რომ არასოდეს არ არღვევდა და სხვა... სოფელი მაშინ ღონიერი იყო“. სწორედ ამ ქართული ღონიერი სოფლის საუკუნოვან ჩვეულებებზე თითქმის არაფერი იწერება. არაფერს ვამბობთ ქართული ხალხური გამოყენებითი ხელოვნების, შინამრეწველობის, ამქრული ტრადიციების შესახებ, ოსტატ-შეგირდის ამაღლებულ ურთიერთობაზე, რაც შეგირდში, ოსტატებთან ერთად, ზნეობრიობასაც ზრდიდა.

ახალგაზრდობამ უთუოდ იცის, ჩვენთან ჩამოსულ უცხოელს თავის სამშობლოზე მეტად კი არ მოსწონს საქართველო, მისი კუთხე-კარი, არამედ, ხიბლავს ქართული გულმხურვალება, სტუმრის დახვედრის წესი და ადათი. როგორი ბრძნულია და ჭკუის სასწავლებელი ქართული სუფრა, რომელიც ღირსებების, მაღალი ზნეობის დამკვიდრებას ემსახურება. ცოდვა გამხელილი ჯობია, ჩვენ ხომ ბევრ რამეს გადავუხვიეთ — ღირს ამაზე ლაპარაკი.

ყოველდღიური ყოფის რამდენ კარგ ჩვევას და წესს გადავუხვიეთ ან დავივიწყეთ. ამაზეც ხომ გვმართებს დაფიქრება.

მშრომელი კაცისათვის ხომ გარდაუვალი წესი და კანონი იყო ერთმანეთის დახმარება, ქვრივ-ობლის მიხედვა. გასახარია, დღეს ქველმოქმედება რომ აღორძინდა, უწყებები, ცალკეული ადამიანები ეწევიან ამ სასიკეთო საქმეს (მაგრამ, ვაი, რომ ძალზე ცოტანი...).

ყოველი სოციალური ჯგუფი ქმნიდა ურთიერთდამოკიდებულების გარკვეულ ტრადიციას. ყოფითი საოჯახო წეს-ჩვეულებები, ოჯახის შექმნის სრულყოფილი სისტემა, უფროს-უმცროსობის ადათი, მორდუობის, ძუძუმტეობის, ძმადნაფიცობის, სამგლოვიარო წეს-ჩვეულებანი, წინაპრების კულტი და სხვა ერთ საგაზეთო მასალაში ვერ მოთავსდება.

დღეს, უდიდესი განსაცდელის ჟამს, ჩვენთან ერთად გამოცდას გადის ეროვნული ტრადიციები; დღეს გამოჩნდება რამდენად ღირსნი ვართ იმ გზის გაგრძელებისა, რომელიც შრომითა და ბრძოლით განვლეს ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა.

უნდა შევისმინოთ და მივსდიოთ საყოველთაოდ გასაგებ ჭეშმარიტებას: **„იმერლების იმერლობა კი არა, მეგრელების მეგრელობა კი არა, კახელების კახელობა კი არა, ქართველების ქართველობა დამილოცე ღმერთო“.**

აკაკი სიხარულიძე.

ხიდი

თევფიქ უფუქ ოქიაიუზი:

„შემდეგ შეხვედრაზე ქართულად გესაუბრებით“

6 აპრილს თბილისში, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში, გაიმართა ორი ქვეყნის ელჩების შეხვედრა. საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ნოდარ კომახიძე და საელჩოს თანამშრომლები — საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი ბადრი ვადაჭკორია და საქართველოს საელჩოს პრესატაშე რამინ ჰელიძე ანკარაში გამგზავრების წინ გულთბილად მიიღო თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაიუზმა, რომელიც ახლახან ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა მუშაობას. შეხვედრას ესწრებოდნენ თურქეთის დროებითი რწმუნებული აჰმედ რიზა დემირერი, სამხედრო ატაშე ზექაი ბაბუჩუოღლუ, ქართველი ჟურნალისტები.

ბატონ ნოდარ კომახიძეს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თურქეთის ისტორიის განხრით. მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი. თურქეთის უახლესი ისტორიისადმი მიძღვნილი აქვს ასზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის, ხუთი მონოგრაფია. თავისუფლად ფლობს თურქულ ენას. ცოლშვილიანია. ჰყავს სამი შვილიშვილი.

თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში თევფიქ უფუქ ოქიაიუზი დაიბადა 1940 წელს. დამთავრებული აქვს ანკარის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტი. სპეციალობით ეკონომისტია. ცოლშვილიანი, ჰყავს ერთი შვილი. 1965 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. ელჩად მუშაობდა შვეციაში, რუმინეთში, სომალში, ლიბანში, ინდოეთში. ფლობს გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, შვედურ ენებს. ბატონი ელჩი დაგვპირდა, რომ მალე ქართულსაც შევისწავლი და ინტერვიუს თქვენს ენაზე მოგცემთო.

შეხვედრისას უპირატესად, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ამ ორი ქვეყნის ელჩების მეგობრული, ძმური დამოკიდებულება იყო. ისინი გვაცნობდნენ თავიანთ სამუშაო გეგმას, თუ რა უნდა გააკეთონ ორივე ქვეყნის დაახლოვებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის; იხსენებდნენ ამ ცოტა ხნის წინათ ანკარაში ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მეტად გულთბილ შეხვედრას თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან.

ბატონმა თევფიქ უფუქ ოქიაიუზმა აღნიშნა: — როცა ედუარდ შევარდნაძემ ჩვენს პრეზიდენტს ბატონ ნოდარ კომახიძე ელჩად წარუდგინა, იგი მაშინვე დათანხმდა და ხელი მოაწერა ამ გადაწყვეტილებას. ელჩად ასე სწრაფად დანიშვნის ფაქტი იშვიათია, სწორედ გინესის წიგნშია შესატანი. საუბრისას აღნიშნეს, რომ პრობლემები, რომლებიც ჩვენი ურთიერთობისას წარმოიშობა ერთობლივად უნდა გადავწყვიტოთ. ეს არის ჩვენი მუშაობის საფუძველი. ორივე ელჩი თავისი ქვეყნის თვალი და ყური უნდა იყოს და ყველაფერი იღონოს ამ ქვეყნების კიდევ უფრო დაახლოებისა და განმტკიცებისათვის.

— საქართველო ჩვენთვის ძვირფასი მეზობელია, — გვითხრა ბატონმა თევფიქ უფუქ ოქიაიუზმა, — ვიცნობთ საქართველოს ისტორიას, კულტურას, ადათ-წესებს. ორივე ქვეყნის განვითარებაში არსებობს ურთიერთობის გარკვეული ეტაპები, არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ეს გადაწყვეტილებები ჩვენი ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის დროს უკვე მიღებულია და მისი განხორციელებისათვის ზრუნვა ჩვენი მოღვაწეების ძირითადი მიზანია. სანამ პოლიტიკური ხელშეკრულება დაიდებოდა, არსებობდა მეგობრული ურთიერთობები. ამ ურთიერთობის განხორციელებას ხელს უშლიდა სასაზღვრო კარები იქითაც და აქეთაც. ორივე მხარეს კი ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობს, თითქმის ნათესავები, რომლებიც ამ კარების უქონლობის გამო მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან კონტაქტს. მიცვალებული ჰყავდათ, საზღვართან მოასვენებდნენ და ასე აჩვენებდნენ მის მეორე მხარის მოძმეს. ბავშვი გაჩნდებოდა და თოფის გასროლით ამცნობდნენ ერთმანეთს სიხარულს, ყანაში მუშაობდნენ და სიმღერით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. დღეს ეს ხელოვნური კედელი მოხსნილია. ჩვენი ძირითადი მიზანია ვიღვაწოთ ამ პოლიტიკური და სამთავრობო დონეზე მიღებული ხელშეკრულებების განხორციელებისათვის. მე, როგორც ეკონომისტს შესწავლილი მაქვს თქვენი ქვეყნის ეკონომიკა და მწამს, რომ საქართველო მალე გამოვა ამ ეკონომიკური კრიზისიდან. მთავარია, თქვენმა მხარემ წარმოგვიდგინოს პროექტები, რა სჭირდებათ. თურქი ბიზნესმენები მზად არიან საქმეს შეუდგნენ.

ბატონმა ნოდარ კომახიძემ თავის მხრივ დაუმატა, რომ ჩვენ ბევრი ერთობლივი ურთიერთხელსაყრელი პროექტი და მათი განხორციელების შესანიშნავი პერსპექტივები გვაქვს. ქართველებსაც დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ თურქეთთან ურთიერთობაში: გამოიყენონ ქართველი ჰიდროენერგომშენებლების, მეტრომშენებლების, საავტომობილო და საბაგირო გზების მშენებელთა უნიკალური სკოლის გამოცდილება და შესაძლებლობანი.

აღინიშნა, რომ თურქეთის საელჩომ უკვე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა ამ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში. თბილისში გახსნა თურქული პურის ქარხანა, ინგლისური კოლეჯი. უნდათ სავაჭრო ცენტრის მოწყობა. ერთი სიტყვით, პროექტები ბევრი აქვთ. იმედია, ასეთი ურთიერთობების გაღრმავება ორივე ქვეყნისათვის სასიკეთო იქნება.

ლარისა ხუბულური.

სურათზე: (მარჯვნიდან) თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში თევფიქ უფუქ ოქიაიუზი, საგანგებო ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ნოდარ კომახიძე და თურქეთის საელჩოს დროებითი რწმუნებული აჰმედ რიზა დემირერი.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტო.

აეროპორტის საბაჟო:

პრობლემები უნდა გადაწყდეს

თბილისის აეროპორტის საბაჟო საგუშაგო საიმედო დაბრკოლებაა ნარკობიზნესის მონაწილეთათვის. ეს საქინფორმის კორესპონდენტთან **თენგიზ ჩხიკვაძესთან** საუბარში თქვა საგუშაგოს უფროსმა მამუკა არაბიძემ. მაგრამ მაინც, რესპუბლიკის დედაქალაქის საჰაერო ჭიშკრის საბაჟოზე პრობლემები საკმაოდ არის. და მათგან უმთავრესია — სამართლებრივი...

— პრაქტიკულად, — თქვა მან, — ჩვენ ისე ვმუშაობთ, რომ არა გვაქვს ზუსტი საბაჟო კოდექსი და შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებშიც განმარტებული იქნება ჩვენს მუშაობაში წარმოქმნილი ყველა ნიუანსი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1993 წელს შემუშავებული იყო რამდენიმე ამგვარი აქტი. ყველანი საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ დაამტკიცეს. მაგრამ ისინი „წვეთია ზღვაში“. მაგალითად, არ ვიცით, რა რაოდენობის საგნები, საქონელი უნდა გავიდეს და შემოვიდეს საზღვრის გავლით. ამიტომ იძულებული ვართ ჩვენი შეხედულებისამებრ ვიმოქმედოთ, ამასთან, არა გვაქვს არავითარი თანამედროვე საბაჟო ტექნიკა.

რას ფიქრობენ სამართალდამცველი ორგანოები თბილისის აეროპორტის საბაჟო საგუშაგოს შესახებ?

თეიმურაზ ონიანი, თბილისის პროკურორის მოადგილე, რომელიც ზედამხედველობას უწევს თბილისის საბაჟოს:

— ეს საგუშაგო მდებარეობს აეროპორტის ინტურისტის ყოფილი სამსახურის შენობაში, რომელიც თავისი არქიტექტურით არ აკმაყოფილებს საერთაშორისო საბაჟო ნორმებს. ტერიტორიის შეზღუდულობის გამო აქ არ არის საკმარისი საბაჟო ზონა. საბაჟო პროცედურა, როგორც წესი, იმის გამო ჭიანურდება, რომ ამ ზონაში, ისევე, როგორც სასაზღვროში, არიან გარეშე პირები. მაგალითად, აეროპორტის საერთაშორისო სექტორის წარმომადგენლები და გამცილებლები. ყოველივე ეს არ გამორიცხავს სასაზღვრო ზონის გავლით კონტრაბანდის (ვალუტის, ოქროს, ვერცხლის, ძვირფასი თვლების, ნარკოტიკების, იარაღისა და ბევრი სხვა) გატანას. სწორედ ამიტომაც, ასეთ შემთხვევაში, მესაზღვრეები მეტ პრინციპულობას უნდა იჩენდნენ. იშვიათი არ არის ფაქტებიც, როცა მებაჟის მუშაობაში ერევიან ცალკეული პირები, ოფიციალურ შეიარაღებულ ფორმირებათა წარმომადგენლები. ისინი მოითხოვენ მოქმედი კანონის გვერდის ავლით, საბაჟო შემოწმების გარეშე გაატარონ მათი თანმხლები პირები და კუთვნილი ტვირთი. რაც შეეხება აეროპორტის შიდა ტერიტორიას, სადღეისოდ აქ დგანან კერძო და სამსახურებრივი ავტომანქანები, რომლებიც აეროპორტს არ ეკუთვნის. ხდება ხოლმე, რომ ამ ტერიტორიაზე თავისუფლად შედიან გარეშე პირები, რაც არ გამორიცხავს დივერსიის შესაძლებლობას, ამიტომაც, საჭიროა მთავრობის სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებსაც კი აეკრძალოთ აეროპორტის შიდა ტერიტორიაზე შესვლა.

სპორტი

ფეხბურთი

ეროვნული თასის გათამაშების ნახევარფინალში ითამაშებენ თბილისის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, „ბათუმი“ და რუსთავის „მეტალურგი“. ამ ეტაპის მატჩები გაიმართება 14 და 22 აპრილს, ხოლო კენჭისყრა მოეწყობა დღეს, 12 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

გთავაზობთ საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგებს: წყალტუბოს „სამგურალი“-„დინამო“ 3:1 (პირველი მატჩი 0:11), „კოლხეთი“-თბილისის „შევარდენი“ 1:1, პენალტებით 5:4 (1:1), „ბათუმი“-ლანჩხუთის „გურია“ 4:0 (0:2), თბილისის „თეთრი არწივი“-„მეტალურგი“ 1:2 (2:4).

ხსოვნა

ვალერიან ცხომელიძე

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, შრომისა და ომის ვეტერანი, 1966 წლიდან პერსონალური პენსიონერი, დამსახურებული ტრანსპორტელი — ვალერიან ილარიონის ძე ცხომელიძე.

დაიბადა 1906 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბასილეთში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა თბილისის „მუშფაკში“. 1935 წელს დაამთავრა მაშინდელი ამიერკავკასიის საავტომობილო ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი. ამავე წლიდან მუშაობდა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ვ. ცხომელიძე დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში იყო. სად არ მოუწია ბრძოლა, კავკასიის ფრონტზე, უკრაინასა თუ კარელიაში, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში შეეგება გამარჯვებას. ომიდან შინ ორდენებითა და მედლებით დაბრუნდა. შემდეგ ვ. ცხომელიძე უბრუნდება თავის საყვარელ საქმეს. მან დაძაბული შრომით გაიკვლია ცხოვრების გზა. თავისი საქმის კარგი სპეციალისტი, ახალგაზრდების აღმზრდელი და მეგობარი, გულისხმიერი, პატიოსანი, სიცოცხლის ბოლო დღემდე მხნე და ვაჟკაცური. მზრუნველი და მოსიყვარულე მამა და ბაბუა — ასეთი ემახსოვრებათ იგი მის ახლობლებს.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტი; სატრანსპორტო კომპანია „თბილისტრანსი“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს ლეილა გორდეზიანს მამის **ალექსანდრე (ალიოშა) თეოფილეს ძე გორდეზიანის** გარდაცვალების გამო.

ფირმა „ბუღალტერ-ექსპერტი“ აგრძელებს ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელი მორიგი ჯგუფის დაკომპლექტებას.

დაინტერესებული მსმენელები სწავლის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას კომერციულ სტრუქტურებში.

ამასთან, ფირმა გაცნობებთ, რომ მთავრდება ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელი ათდღიანი კურსების ჯგუფის დაკომპლექტება, სადაც მეცადინეობას ატარებენ რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელი მუშაკები.

სწავლა იწყება 18 აპრილს, 17.00 საათზე.

მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 7, ქართული გიმნაზიის შენობა. ტელეფონი: 22-20-11; 93-87-36.



„FEBOSI LTD“ გილოცავთ გაზაფხულის დადგომას და გაუწყებთ, რომ ვაგრძელებთ მსმენელთა მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. გიწვევთ ყველას, ვისაც გაგაჩნიათ გარკვეული საფუძველი ინგლისურ ენაში და გაქვთ სურვილი დაეუფლოთ ინგლისურ ენას ამერიკული და ბრიტანული ფრაზეოლოგიით.

თქვენ საშუალება გექნებათ:
— შეიძინოთ და გაიღრმავოთ ცოდნა;
— მიიღოთ მაღალკვალიფიციური მეთოდისტის რჩევები;
— მიიღოთ სპეციალურად ჩვენი კურსისთვის შემუშავებული პროგრამა, სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა;
— გაეცნოთ ნოვატორულ მსოფლიოში ცნობილ სხვადასხვა ეფექტურ მეთოდებს;
— მოისმინოთ [illegible] კასეტებს, რომელთაც თან სდევს მაღალი სიხშირის ბგერები „SUBLIMINAL MESSAGE“;
— აირჩიოთ კურსი:
1) საკომუნიკაციო ინგლისური;
2) [illegible];
3) TOEFL-ის ტესტების მოსამზადებელი კურსი;
— ისწავლოთ შემდეგი ინტენსივობით: კვირაში ორჯერ სამ-სამი აკადემიური საათი;

გახსოვდეთ ჩვენი რეკლამა არგუმენტირებულია გამოცდილებით, შედეგებით და მსმენელთა შორის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით. გასაუბრება და საბუთების მიღება წარმოებს 10 აპრილამდე, მისამართზე: ქალაქი თბილისი, მაჩაბლის 2, ტელ: 99-65-03

ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის 2, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის შენობაში.

ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 16 საათამდე.

სს „კავკასიის ბირჟის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

1994 წლის 23 აპრილს 11 საათზე გაიხსნება „კავკასიის ბირჟის“ აქციონერთა მე-5 კონფერენცია.

კონფერენცია ჩატარდება „კავკასიის ბირჟის“ შენობის საქტო დარბაზში, ვაჟა-ფშაველას პრ. №72.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 7 აპრილიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	347,248.65	კუპონი
ავსტრიული შილინგი	41,510.72	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	724,926.38	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	141,692.35	კუპონი
გერმანული მარკა	292,122.63	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	259,855.45	კუპონი
დანიური კრონი	74,218.69	კუპონი
100 იტალიური ლირა	80,177.68	კუპონი
კანადური დოლარი	354,533.97	კუპონი
ნორვეგიული კრონი	67,126.69	კუპონი
აშშ დოლარი	495,000.00	კუპონი
ფინური მარკა	89,868.20	კუპონი
ფრანგული ფრანკი	85,890.20	კუპონი
შვედური კრონი	62,274.46	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	346,759.79	კუპონი
10 იაპონური იენი	48,114.45	კუპონი
ეკიუ	561,978.05	კუპონი
10 ესპანური პესეტა	35,867.95	კუპონი
10 ბერძნული დრაჰმა	19,850.28	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	698,841.11	კუპონი
ისლანდიური კრონი	6,918.80	კუპონი
ქუვეითური დინარი	1,664,426.33	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	2,921.95	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	28,529.54	კუპონი
სინგაპურული დოლარი	315,989.90	კუპონი
10 თურქული ლირა	162.02	კუპონი
რუსული მანეთი	196.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	86,935.80	კუპონი
ლატვიური ლატი	578,852.68	კუპონი
ესტონური კრონი	25,621.12	კუპონი
10 უკრაინული კარბოვანეცი	98.00	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	17,248.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	91,639.80	კუპონი
ყირგიზეთის სომი	36,559.88	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434